საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
საპარტიო დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეექვსე.

შაბათი, ქრისტეშობისთვის 18. 1920

№ 172

კვირას 19 დეკემბერს ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ვასილ ივანეს ძის
ფორაქაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძმა მისი ადამ ფორაქაშვილი. დასაწყისი წირვისა 10 საათ.

1—3340—1

სახელმწ. თეატრი

ოპერა

შაბათს 18 დეკემბერს
მუშებისთვის
სიმფონიური კონცერტი ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწილეობით.
კვირას, 19 დეკემბერს
„ფრა-დიავოლო"
ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

მეორე ქართული კლუბი

დღეს შაბათს

სინემატოგრაფი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

1—139—1

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძის
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგური (ვაგზალი) ქ. № 5.

იმერეთის სავაჭრო-სამრეწველო სამეურნეო ბანკის
(იმერბანკის)

ქ. ზესტაფონში. ქ. ზესტაფონში.

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 9 დეკემბერს ხსენებული ბანკის წესდება დაამტკიცა. ძირითადი თანხა ბანკის პირველ ხანად **არის განსაზღვრული** 3 (სამი) მილიონი მანეთით, თითო აქცია ღირს 1000 (ათასი) მანეთი, ხუთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერა მიიღება ამა დეკემბრის 15-მდის ქ. ზესტაფონში საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში და ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი თითო აქციაზე ღირებულების ნახევარი 500 მანეთი და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. აქციაზე.

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ აქციონერთა პირველი დამფუძნებელი

კრება

დანიშნულია ამა წლის 19 დეკემბერს ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბინაზე დღის 12 საათზე

განსახილველი საკითხები:

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება.
2. 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება
3. ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან აქტივისა და პასსივის მიღება.
4. არჩევნები საბჭოსა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და
5. მიმდინარე საკითხები.

განცხადება
ქუთ. სამაზ. ერობის გამგეობა

აცხადებს კონკურსს თავის ცენტრალურ საავადმყოფოში შემდეგ თავისუფალ ადგილებზე:

1) საავადმყოფოს დირექტორის ჯამაგირი 12,000 მან. თვეში, ბინა გათბობა და განათება.

2) ტერაპევტიული განყ. გამგე ექიმის ჯამაგირი 12000 მანეთი თვეში.

3) ამავე განყოფილების ორი ორდინატორის ჯამაგირი თითოს თორმეტი ათასი მან. თვეში.

4) ქირურგიული განყოფ. ორი ორდინატ. ჯამაგირი თითოს თორმეტი ათ. მ. თვ.

5) ხაზეპიო განყ. გამგე ექიმის ჯამაგირი თორმეტი ათ. მან. თვ.

6) ვენერიული და კანის გამგე ექიმის ჯამაგირი თორმეტი ათასი მ. თვ.

7) თვალის განყ. გამგე ექიმის ჯამაგ. თორმ. ათ. მ. თვ.
8) ბაქტერიოლ.-პროზექტორის ჯამაგ. თორმ. ათ. მ. თვ.
9) კბილის განყ. გამგე ექიმის ჯამაგ. თორმ. ათასი მ. თვ.

გარდა ჯამაგირისა ექიმები იღებენ დაწესებულ ულუფას შრომის მაგიდიდან და ერობიდან. მსურველთ უნდა გამოგზავნონ თხოვნები და „კურიკულუმ ვიტე" ერობის სამკ.-სასანიტ. განყ. სახელზე.

თხოვნების გარჩევა მოხდება 26 დეკემბერს ექიმთა პროფ. კავშირის წარმომადგენლის თანდასწრებით.

ქუთაისის ერობის გამგეობა.

განცხადება

ქუთაისის ერობის ცენტრალური საავადმყოფო

(ყოფილი სამხ. ჰოსპიტალი)

გაიხსნა პირველ ოქტომბრიდან ამა წლისა შემდეგი განყოფილებით.

1.	ქირურგიული . . . , ...	120	საწოლი
2.	ტერაპევტიული. . . . , ...	140	„
3.	გინეკოლოგიური და საბებიო. . . .	30	საწოლი
4	კანის და ვენერიული	50	საწოლი
5.	გადამდებ სნეულებათა	40	„
6.	თვალის და კბილის , ...	20	„

საავადმყოფოს უფროს დოსტაქრათ მოწვეულია მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი პრივატდოცენტი ა. გ. ტიხონოვიჩი.

განყოფილებებს განაგებენ სპეციალისტი ექიმები.—

ქუთაისის ერობის გამგეობა.

7—146—1

ქართული ენის მასწავლებელი იუ[illegible]ის-ტ--კ სრ[illegible]ლის

საბუთის ქაღალდების, წესდებებისა, კანონ პროექტებისა, მოხსენებებისა და სხ.

რუსულიდან ქართ. თარგმნას

იგივე ასწორებს ენასა და სტილს ნათარგმნებისას. (მოთხრობები, სახელმძღვანელოები და სხვა).

მისამართი: რედაქცია „საქართველო" დილის 9 საათიდან 3 საათ. 3—240—1

უფლების უზურპაცია.

ამ რამოდენიმე დღის წინად გვარდიის მთავარი შტაბის ბრძანებით გამოცხადდა შრომის სავალდებულო ბეგარა. ეს ბრძანება უარყოფაა ყოველივე იმისა რაც ევროპა ამერიკის კონსტიტუციამ იცის. პიროვნების თავისუფლება და საკუთარი ძალ ღონის თავისუფალი გამოყენება გონებრივი, თუ ნივთიერი შემოქმედების სფეროში,—რამაც შექმნა მოწინავე კაცობრიობის მაღალი კულტურა, ჩვენი გვარდიის შტაბის ბრძანებით ერთბაშად გაბათილდა. გარდა თვისი პრინციპიული მიუღებლობისა, ეს ბრძანება ისეა შედგენილი და მისი აღსრულებაში მოყვანა ისეთ ორგანიზაციას აქვს დავალებული, რომ გაუგებრობა, თვითნებობა და ბოროტ-მოქმედება ბუნებრივად მოჰყვება მის ძალაში შესვლას, მაგრამ უფრო აღმაშფოთებელია ის, რომ გვარდიის შტაბმა მიითვისა არამც თუ საკანონმდებლო ინიციატივა, არამედ თვით საკანონმდებლო ფუნქციაც. რა უფლება ჰქონდა გვარდიის შტაბს გამოეცა ისეთი ბრძანება, რომელიც ლახავს ადამიანის ერთ ერთ ძირითად უფლებას და რომელიც პიროვნებას თავზედ ახვევს ძალდატანებით მუშაობას. განა შესაძლებელია რომ ასეთი რადიკალური გარდატეხვა პიროვნების ძირითადი უფლების ცხოვრებაში, მოხდეს გვარდიის, თავდაცვის საბჭოს, ან მთავრობის ბრძანებით იქ, სადაც ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანო არსებობს?! თუ განსაკუთრებული მდგომარეობა იმას მოითხოვს, რომ ქვეყანამ არა ჩვეულებრივი მსხვერპლი უნდა გაიღოს და კონსტიტუციურ უფლებათა გარანტიები შესწყვიტოს,—მაშინ ეს უნდა მოხდეს წესიერი, კანონმდებლობითი გზით.

განა პარლამენტი, ეს ქვეყნის უზენაესი წარმომადგენლობა, უკეთ ვერ გაიგებს ქვეყნის საჭიროებას? ან რომელია ის ორგანო, თუ არა პარლამენტი, რომელსაც ეხელმწიფება ისეთი გარდაწყვეტილების მიღება, რომელიც არსებითად ეხება პიროვნების თავისუფლების საფუძვლებს? გვარდიის შტაბმა მიიკუთვნა დამფუძნებელი კრების უფლებანი, მან შელახა ის, რაც დემოკრატიული რეჟიმის არსებას შე დგენს.

ასევე მოიქცა მთავრობაც, როდესაც მან დაადგინა—გამოიტანოს, დაცვის მიზნით, ეკლესიებიდან და მონასტრებიდან ყველა ის ძვირფასი განძეულობა, რომელიც არ იხმარება ღვდელ-მსახურების შესრულების დროს.

თუ ჩვენს რესპუბლიკაში უფლებრივი რეჟიმი არსებობს, მაშინ უნდა ვსთქვათ რომ მთავრობას ამის უფლება არ ჰქონდა. ხსენებული განძეულობა შეადგენს ეკლესიის საკუთრებას, ეს განძეულობა ეკლესიებშია დაგროვილი ან იმ საჩუქრების სახით, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ეკლესიისათვის მიურთმევიათ მეფეებს და მათ გვარეულობას, ან უბრალო მორწმუნეებს, ან კიდევ ეს განძეულობა თვით ეკლესიას შეუქმნია თვისი საკუთარი სახსრით და ინიციატივით. დღეს რომ რესპუბლიკის მთავრობამ ეკლესიას რაიმე ნივთი აჩუქოს, ეს ნივთი ეკლესიის ხელუხლებელ საკუთრებად გახდება. ყველა ამ შემთხვევაში ეკლესია გამოდის კანონიერ მესაკუთრედ იმ განძეულობის, რომელიც მასშია თავმოყრილი. ეს განძეულობა შეადგენს ეკლესიის მოძრავ ქონებას. ეკლესია კი არის სრული იურიდიული პიროვნება. არც ერთი აქ არსებული კანონის ძალით, მთავრობას არ აქვს არავითარი უფლება მოახდინოს კერძოთა მოძრავი ქონების კონფისკაცია,—სულ ერთია, თუ ვინ იქნება ეს კერძო პირი, ეკლესია თუ რომელიმე საქველმოქმედო საზოგადოება.

ყველაზედ უფრო თამამი კანონთა შორის,—თვით რევოლიუციური კანონიც—არ შეხებია ჩვენში მოძრავ ქონებას. მისი მოქმედება ვრცელდება, და ისიც განსაზღვრულ ფარგალში, მხოლოდ მიწის საკუთრებაზედ. მაშასადამე, მთავრობას არა აქვს არავითარი უფლებრივი საფუძველი ეკლესია-მონასტრების განძეულობის ხელშეხება-კონფისკაციისა. მთავრობა აქ არ დგას უფლების ნიადაგზე.

ჩვენი წყობილება კი უფლებრივი წყობილებაა! ხოლო ეს ნაბიჯი ამტკიცებს, რომ მთავრობა არ სცნობს ჩვენში არსებულ უფლებრივ ნორმებს, და რომ იგი არ ერიდება ამ ნორმების გადალახვას და ძალადობის ხმარებას. უფლებრივის თვალსაზრისით და ჩვენ მხოლოდ ამ მხრივ ვაფასებთ სახელმწიფო ორგანოების მოქმედებას მთავრობამ დაარღვია ჩვენი კონსტიტუცია და პიროვნების ძირითადი სამოქალაქო უფლება.

თუ ეკლესია-მონასტრების განძეულობა საჭიროა ქვეყნის განსაკუთრებული საჭიროებისათვის, მაშინ ჯერ ეკლესიისათვის უნდა მიგვემართნა და გვეთხოვნა ეს განძეულობა. ქართულ ეკლესიას უფრო დიდი ტრადიცია აქვს საქართველოს იდეალისათვის მსხვერპლის გაღების საქმეში, ვიდრე ჩვენს მენშევიკებს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეკლესია დღესაც გამოიტანდა თავის განძეულობას სამშობლოს სამსხვერპლოზე მაგრამ თუ ეს იმედი არ გამართლდებოდა და ეკლესია თუ ამაზედ უარს იტყოდა და თუ, მეორეს მხრივ,

დღეს.

საბჭოთა რუსეთი საზამთრო სამხედრო კომპანიისთვის ემზადება.

კრასინმა ლორდ კერზონს საპროტესტო ნოტით მიმართა ინგლისის მიერ ბალტიის ზღვაში საბჭოთა რუსეთის გემების დაკავების გამო.

ესერები პარიზში იწვევენ რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრთა კონფერენციას ახალი მთავრობის შესადგენად.

უნგრეთის წვრილი მესაკუთრენი მეფეს თხოულობენ.

სომხეთის საკითხის შესახებ ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე ვივიანმა განაცხადა: ჩვენ ვერაფერს გადავწყვეტთ მანამ, სანამ არ გავიგებთ საბჭოთა რუსეთმა სომხეთი დაიკავა თუ არა.

წერილები

რედაქციისაგან.
მეთაური: უფლების უზურპაცია.
იუსტიცია თუ პოლიტიკა?
სახლები.
ვას. წერეთელი. მეურნეობა და მცხოვრებთა ნამეტნაობა.
ჩვენი კორესპონდენტები: თელავი, ჭიათურა.

გაზ. „საქართველო“-ს

აგენტების საყურადღებოდ

თელავი, გორი, ფოთი, ბათომი, სამტრედია.

გაზ. „საქართველო“-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები: წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ **გაეგზავნება.**

უამგანძულოდ საქართველოს ინტერესი შეილახებოდა, მაშინ ამ საკითხს გადაჭრიდა საქართველოს კანონიერი ბატონ-პატრონი, მისი დამფუძნებელი კრება. ხოლო მთავრობას არამც და არამც არ ეკუთვნოდა უფლება რომ ეს საკითხი თვით გადაეჭრა.

ამგვარად, როგორც გვარდიის შტაბის ბრძანება სავალდებულო ბეგრის შესახებ, ისე მთავრობის ხსენებული დადგენილებაც დამფუძნებელი კრების უფლებას აშკარა შელახვაა. დამფუძნებელი კრება უნდა შეეცდეს ამის გარჩევაში და მთავრობას პასუხი მოსთხოვოს, თუ უნდა დაიცვას თავისი საკანონმდებლო უზენაესობა.

რედაქციისაგან.

ოთხშაბათს, ქრისტეშობისთვის 15-ს, შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ნოე რამიშვილმა ჩვენი რედაქციის წარმომადგენელს განუცხადა, რომ იგი შეცვლიდა თავის დადგენილებას გაზეთ „საქართველოს“ შეჩერების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ რედაქცია პირობას მისცემდა მას, არაფერი დაეწერა გელათში მომხდარი ამბების და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ასეთი პირობის მიცემა იქნებოდა დამცირება და შეურაცხყოფა პრესისა და შეუწყნარებელი შეზღუდვა მისი თავისუფლებისა, ურომლისოდ ჩვენი გაზეთის დანიშნულებას ეკარგებოდა ყოველი აზრი.

ჩვენი რედაქციის რწმუნებულმა კატეგორიულად უარყო ასეთი წინადადება ბ-ნ ნოე რამიშვილის ქეიფისა და გუნების მიხედვით მოქმედებისა.

გაზეთ „საქართველოს“ მაინც მოხსნეს საგანგებო რაზმის ბეჭედი და გუშინ, განახლებული გამოცემის პირველი № გამოვიდა.

მაგრამ როგორ პირობებში?

საღამოს 6 საათზედ სტამბაში გამოცხადდენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის აგენტები, მოითხოვეს დაბეჭდილ გაზეთის 7 ცალი და განუცხადეს სტამბის გამგეს, რომ მათ ეს გაზეთები მინისტრის ამხანაგს და მინისტრის პირად მდივანს ლომთათიძეს უნდა წაუღონ და ვიდრე ისინი (აგენტები) არ დაბრუნდებიან, გაზეთი არ შეიძლება დაიბეჭდოს და ქალაქში გაიყიდოს.

ნახევარი საათის შემდეგ სტამბაში გამოცხადდა მეორე აგენტი და დაბეჭდილი ნომრების 2 ცალი მოითხოვა და თანაც განუცხადა ექსპედიციის მოსამსახურეთ, რომ თუ გაზეთის ბეჭდვა და გაყიდვა მის მოსვლამდი დაიწყეს ყველანი დატუსაღებულნი იქნებიან.

ექსპედიციის მოსამსახურეთ ეს ამბავი რედაქციის წევრებს შეატყობინეს, რომელთაც ყველაფერი ეს დაუყოვნებლივ აცნობეს ტელეფონით შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ბ-ნ ივ. ჭავჭანიძეს და მას თავისი პროტესტი განუცხადეს.

ბ-ნი ჭავჭანიძე დაგვპირდა დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას მომხდარი ამბისას.

და მართლაც ერთი საათის შემდეგ, სტამბაში მოვიდა საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწე; მოიხადა ბოდიში რაზმის აგენტების მოქმედებისთვის და ნება დართო გაზეთის ბეჭდვა განეგრძოთ, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტათ დარჩა.

ორი საათის განმავლობაში გაზეთი „საქართველო“ თვითნებურად დახურული იყო საგ. რაზმის აგენტების მიერ.

ამ რიგათ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის ნებით, რესპუბლიკაში მოქმედ კანონის საწინააღმდეგოთ, ჩვენს გაზეთზე ფაქტიურად ცენზურა დააწესა; და რედაქციას მხოლოდ ერთი რამ დარჩენია:

თავისი პროტესტი და უღრმესი აღშფოთება განაცხადოს ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრის მოქმედების გამო.

იუსტიცია თუ პოლიტიკა?

დამფუძნებელ კრების უკანასკნელ სხდომაზე ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის ორატორმა მთელი რიგი საბუთებისა წარადგინა იმის დასამტკიცებლად, რომ ზოგიერთი სამინისტროს ხელმძღვანელები ვერ დგანან შესაფერ სიმაღლეზე და ვერ იცავენ უწყების პრესტიჟსაც და საზოგადოთ კანონიერების ნორმებსაც.

ასეთი საყვედურით ჩვენი ფრაქციის წარმომადგენელმა მიმართა აგრეთვე იუსტიციის მინისტრს ბატონ არსენიძეს და ფაქტებით ნათელჰყო, როგორც სასამართლოს საოცარი უძლურება დემოკრატიულ ქვეყანაში, აგრეთვე შეუწყნარებელი აღრევა ფუნქციებისა და კომპეტენციის მთელს მმართველობაში.

თავის საპასუხო სიტყვით ბატონმა არსენიძემ დაადასტურა ის, რასაც მის შესახებ ჰფიქრობს საზოგადოება: ის შეიძლება იყოს კარგი პოლიტიკური, პარტიული მოღვაწე, მაგრამ, როგორც მართლმსაჯულების გენერალ-პროკურორი, ის უნაყოფოა და გამოუსადეგარი. ბატონი არსენიძე ძლიერ მოწადინებული იყო, რომ რამენაირად გაებათილებინა ეროვნულ-დემოკრატების ბრალდებანი და ალაპარაკდა... ზეპირად, როგორც იუსტიციის მინისტრი. ზოგიერთ ფაქტების შესახებ იუსტიციის მინისტრმა პირდაპირ განაცხადა, რომ ის შეიძლება არც თანაუგრძნობდეს მათ, მაგრამ იმავე დროს მიზანშესაბამად მიაჩნია ისინი პოლიტიკური თვალსაზრისით და, როგორც წევრი პოლიტიკურად მთლიანი კაბინეტისა, სავსებით იზიარებს მთავრობის ყველა ზომებს, თუნდაც ვიმეორებ, ეს ზომები ეწინააღმდეგებოდეს უფლებრივ ნორმებს. „ჩვენ იმდენად ჩამოყალიბებული არა გვაქვს წესები და კანონები“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა, — „რომ შეგვეძლოს თქმა, რომ ეს უეჭველად უნდა გაირჩეს იმ ფორმით და არა ამ ფორმით“ ძალიან ცუდ ატესტაციას აძლევს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მისი სამართლის ხელმძღვანელი, თუ სამი წლის სახელმწიფოებრივად ცხოვრების შემდეგ მაინც საჯაროდ გაიძახის, რომ საქართველოში ყველაფერი დომხალივით არის არევდარეული.

ჩვენმა ფრაქციამ სხვა მხილებასთან ერთად, ისიც განუცხადა იუსტიციის მინისტრს, რომ ის თავის სამინისტროს მოსამსახურეთა ღირსებას მუდამ არ იცავს და რესპუბლიკაში გაბატონებულ ძალმომრეობის სუბიექტებს საშუალებას აძლევს მათი უსამართლო დევნისა და შეურაცხყოფისათვის. გენერალ-პროკურორს მოაგონეს ის ფაქტი, როდესაც ლაგოდეხის გვარდიის საკანში დამწყვდეული სასიკვდილოდ განმზადებული სასოწარკვეთილი მოსამართლე ფავლენიშვილი ემუდარებოდა მას შველას და არ კი ეღირსა. იუსტიციის მინისტრმა ისევ „ზეპირად“ განაცხადა, რომ ფავლენიშვილი იმ დროს გენერალურ შტაბის აგენტადაც(?) იყოო და მან, იუსტიციის მინისტრმა, არ იცოდა, რაში სდებდა ფავლენიშვილს ლაგოდეხის გვარდია ბრალს: სასამართლოს ფუნქციების აღმატებაში, თუ შტაბის აგენტობის ურიგო შესრულებაში!!! დაკმაყოფილდა თვითონ არსენიძე ამ „განმარტებით“ დაბოლოს, თუ ბატონ არსენიძემ, არ უწყოდა, როგორც იუსტიციის მინისტრმა რათ უპირებდნენ ჩამოხრჩობას გვარდიელები მოსამართლეს, მისთვის, ვფიქრობ, სავალდებულო იყო, როგორც პოლიტიკურად მთლიანი კაბინეტის წევრისათვის, იმის ცოდნა, თუ რა ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული მაშინ ფავლენიშვილს თავდაცვის საბჭოს მიერ ზაქათლის ოლქში შექმნილ მდგომარეობის გამო. და რომ არსენიძეს ამ გარემოებისთვის ყურადღება მიექცია ის დამფუძნებელ კრების წინაშე „ზეპირი“ განმარტებით არ გამოვიდოდა და ფავლენიშვილს ორ სამსახურში ყოფნას არ დასწამებდა...

იუსტიციის მინისტრმა ისიც სთქვა, რომ კ. თუმანიშვილის ექვსი თვით დაპატიმრება ადმინისტრატიული წესით სახელმწიფოებრივ და პოლიტიკური მოსაზრებით შესაწყნარებელიაო. მაშ ასე, ვინც მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში ერთ ზედმეტ სიტყვას წარმოსთქვამს, ან მცირე ემოციას მიეცემა, ან ვატუსაღოთ, ან „კისტის კვრით“ გზა ვუჩვენოთ! საქართველოს რესპუბლიკაში ამ მოვლენებისათვის არ არსებობენ „ჩამოყალიბებული კანონები და წესები“. სოციალ დემოკრატები წარამარა იმას გაიძახიან, რომ მათ ფეხი იბერტყეს აღმოსავლეთისაგან და შეუდრეკლად დაადგნენ დასავლეთ ევროპის კულტურის გზასო. ეს რომ ცარიელი და მკვეხარა სიტყვები არ ყოფილიყო, მმართველი პარტია თავის სახელმწიფოებრივ მეთოდებში კულტურულ ევროპის „ჩამოყალიბებულ“, თუ კანონებითა და წესებით არა, ყოველს შემთხვევაში ტრადიციებით მაინც იხელმძღვანელებდა!...

„მუხრანის“ ეპოპეიამ დამფუძნებელი კრებაც შეარყია! აქ — სახელმწიფოს უმაღლეს ტრიბუნიდან — იუსტიციის მინისტრმა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ სოფელ მუხრანში დაბუდებული ინსურგენტები, რომელთაც კანონიერებისა და საზოგადოთ უფლებისა არც არაფერი ესმით და არც არაფრის შესმენა უნდათ; რომელნიც ცინიკურად აცხადებენ, რომ ხოე ჟორდანია მათ აირჩიეს და, მაშასადამე, მისი განკარგულებანი მუხრანელებისათვის არ იწერება; რომელნიც თავისი თავგაღებული და ყაჩაღური მოქმედებით ჰქმნიან მეტისმეტად მავნე პრეცედენტს და ხიფათს უმზადებენ რესპუბლიკის მყუდროებას; — „აკეთებენ ხალხის საქმეს“ და მთავრობამაც კარგად ჰქნა, რომ გააქარწყლა თავისი და სასამართლოს დადგენილებები. ბატონმა არსენიძემ დამფუძნებელ კრებაში მოიწონა მუხრანელების აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ: ამას ძალიან „მოუხდა“ ვ. ჯუღელის რეპლიკა: „ამას ხალხის ინტერესი მოითხოვდა!“.

ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ ქართველ ხალხში უფლებრივი შეგნება ვერ იმაგრებს ფესვებს და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ისე უილაჯოდ მიდის, როგორც ბალქან დაწყვეტილი ხომალდი აშფოთებულ ტალღებში!

იუსტიციის მინისტრმა თავისი უკანასკნელი გამოსვლით აღიარა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იუსტიცია შეეწირა მსხვერპლად პოლიტიკას, ხოლო ეს პოლიტიკა არის პარტიული, სოციალ დემოკრატიული.

მართლმსაჯულების ლამპარიც თანდათან ჰქრება საქართველოში...

რას გვიმზადებს მომავალი დღე?!

ბოლშევიკების მუშაობა საქართველოში

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტი თანახმად მე 3 ინტერნაციონალის წესდებისა ემორჩილება არა ლეგალურ ცენტრის დირექტივებს და ამზადებს ჩვენში შეიარაღებულ გამოსვლას.

როგორც ჩვენ მიერ ამას წინად გამოქვეყნებულ ცნობებიდან სჩანს, დასახელებულ გამოსვლების მოსამზადებლათ თანხას უცხო სახელმწიფოდან იღებენ, ეს თანხა ხმარდება, როგორც ლეგალურ, ისე არა ლეგალურ მიზნების განხორციელებას.

ქართული და რუსული „კომუნისტი“ იყიდება ცალი 10 მანეთად. ხშირად უფასოდაც არიგებენ, ხოლო ცალი გაზეთის გამოცემა კი ჯდება 25—20 მანეთი.

დასასრულ მიზნის მისაღწევად კომუნისტური პარტია ცდილობს უცხო სახელმწიფოდან მიღებულ თანხით მიიმხროს მოსწავლე ახალგაზრდობა, ამისათვის იგი არ ერიდება არავითარ საშვალებას, ხშირია ისეთი შემთხვევა, რომელთაც აშკარა მოყიდვის ბეჭედი აზის.

მიუხედავად ასეთი ზომებისა, საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა გადაჭრით უარყოფს კომუნისტების ამ გზას.

საქართველოს კომუნისტური პარტია უცხოელ ქვეშევრდომთაგან შესდგება, რომელნიც ვერ შერიგებიან საქართველოს დემოკრატიის თვით გამორკვევას და რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენას ცდილობენ.

დეკ. 8 თბილისის კომიტეტის მე 2 რაიონის სხდომას საგანგებო რაზმის მიერ მიღებულ ცნობებით საბოლოოდ უნდა გამოერკვია აჯანყების გეგმა თანახმად საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დირექტივებისა. მიცემული იყო ბრძანება იქ დამსწრეთა გაჩხრეკის შესახებ. გ. კრებაზე აღმოჩნდა:

1. ხოტოსოვი სტეპე მინასისძე. 2. სოტნიკოვი კოსტანტინე. 3. ისტორ ინიკა კაზიმირ. 4 სიგალი ციფა რუბენის ასული. 5. ალიხანოვი გრიგი. 6. პაპოვი ბილდ სარ ივანესძე დაიდიანცი მესროპი. 8. ზელეგრო ვასილი. 9. ლევინი გრიგოლ დალიენის ძე. 10 სიენკოვი ოლღა ვასილის ასული. 11. ლევინა ელენა. 12 კრუგლოვი სარქის ივანესძე. 13 მზანოვ. 14 განცევიჩი დიმიტრი. 15 კიუბლერი ითალიმერი. 16 კოტიანცი გიორგი. 17 გოდაბრელიძე სიმონი. 18 რუბინოვი ივანე. 19 კოლესნიკოვი ივანე. 20 ეტროვი გიორგი. 21 მეჩენკო დომიდე მაკარისძე. 22 კაცლოვი მაქიმე. 23 ნესკიაისარ იოსების ძე. 24 ფილატოვა ზინა იაკობის ასული. 25 ბარანცევიჩი ელენე ივანეს ასული. 26 მიქაელიანი არმენაილ. 27 ომიაძე გიორგი. 28 ვრული თედორე სიმონისძე. 29 დანდუროვი სტეფანე ალექსანდრეს ძე. 30 ხმელნი გიორგი ევანატესძე. 31 სიდამონიძე ესტატე. 32 პატაშვილი ივანე პავლესძე 33 ედელ ონიემიდ ენის ასული 34 შეპკოვი მაქიმე ივანესძე 35 პატაევი თევდორე იაგორისძე. 36 მოლქანი ბალდასარი. 37 გურული სპირიდონი.

მათში მხოლოდ 4 კაცია საქართველოს ქვეშევრდომი, დანარჩენი 33 წევრი უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი არიან. პირველ რაიონის „იაჩეიკის“ წევრთა შორის რომელიც შესდგება 250 კაცისაგან, 173 უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომია. ესეთსავე სურათს იძლევა კომუნისტურ სხვა „იაჩეიკების“ წევრთა სიებიც.

პარტია, რომელიც უცხოელთაგან შესდგება, მთელ თავის იმედებს ჩამყარებს უცხო შეიარაღებულ ძალაზე. პარტიის ორგანიზაციები ხშირათ მიმართავენ აზერბეიჯანის და კავკავის რეკომებს დახმარებისათვის. და სწორეთ ამ იმედით სულდგმულობდენ და მოქმედებენ.

მთავრობამ მიიღო ენერგიული ზომები უცხოელ ქვეშევრდომთ მოქმედების ასალაგმავათ და რესპუბლიკაში სრული წესრიგის დასაცავათ. (ს. დ. ს.)

სახლები

ჩვენ ხშირათ შეგვხებივართ ჩვენი მართველი პარტიის მოღვაწეობის უშედეგობას ჩვენს ეკონომიურსა თუ ფინანსიურს სფეროში.

დღეს ჩვენ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ უწვავეს საკითხზე: ბინისა და სახლების საკითხზე.

წინად თბილისში ყოველ წლიურათ 200—300 სახლზე მეტი შენდებოდა. ე. ი. ორთა შუა რიცხვით სახლზე ათი ოთახი რომ ვიანგარიშოთ, 2.500 ოთახი მზადდებოდა დასაბინავებლად. რევოლიუციის შემდეგ კი არამც თუ არც ერთი სახლი და ბინა არ აშენებულა და არ დაგეგმულა, არსებული სახლები და ბინებიც კი არ შეკეთებულა დანგრევის თუ დაზიანების შემდეგ. თვით ცენტრში შოთას პროსპექტზე არიმანიანცის სახლი, ყოფილი პალას-ჰოტელი, ჩამავებულ ჩალეწილია აგერ სრული ორ წელზე მეტია. განაპირა ქუჩებზე ხომ რამდენიც გსურთ იმდენი მაგალითია შენობების დაქცევა-დარღვევისა და არც ერთი არ არის იმის მაგალითი, რომ ვისმეს ახალი შენობა აეშენებინოს. მხოლოდ მთავრობის ინიციატივით ძლივს ეღირსა დამთავრება სადგურის შენობასა და კიდევ მუშაობენ მუზეუმის შენობის დასამთავრებლად, სასახლის ქუჩაზე.

არც ქალაქის გამგეობას, არც ერობას თბილისსა თუ პროვინციაში, არც მთავრობას ზომები არ მიუღიათ მოქალაქეთა შენობათა აგებისთვის წასაქეზებლად. ეს ძალიან ადვილი გასაგებია. არც მთავრობას, არც ქალაქის მართველობასა და არც ერობას იმდენი ნასახიც კი არ უნდა ჰქონდეთ, რომ მათი ცდა ვაიმე შედეგს გამოიღებს. ბინებისა და შენობათა რეკვიზიცია ჩამორთმევა ისეთი სენი შეიქნა ჩვენთვის, რომელიც თავს გვაგრძნობინებს ათი წლების შემდგომაც. უბინობას და შენობათა ნაკლებობას სოციალისტურმა მართველმა პარტიამ წმინდა „სოციალისტურად“ მოუნახა შემოღლა: არა ახალის წარმოშობით, არამედ ძველის წართმევა რეკვიზიციით — ჩასახლებით, ძალდატანებითა და იძულებით. ბინის ხელშეუხებლობა დიდი ხანია სოციალისტებმა იმსხვერპლეს.

ნურვინ იფიქრებს, რომ შენობათა ნაკლებობა მხოლოდ ჩვენში ყოფილიყოს. მან დიდი ხანია მიიპყრო ყურადღება ევროპის დიდი ქალაქების თვითმართველობათა და მთელი საზოგადოების. იქ სოციალისტები მხოლოდ ქალაქის კრებებზე თუ თითო-ოროლა რედაქციებში არიან და ქვეყნის საქმის წარდინებას ვერ ახერხებენ. ამისათვის მძიმე საკითხთა მოგვარებაც უკეთეს მდგომარეობაშია.

ჩვენ ვკითხულობთ ინგლისურსა და ფრანგულ გაზეთებში, რომ ქალაქისა, თუ საერობო თვითმართველობებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ბინის საკითხს, რაც ყველაზე უწინ მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების საკითხს ნიშნავს. ლონდონში მუნიციპალიტეტმა და ერობამ განსაკუთრებული სესხი გამოუშვა ახალ შენობათა ასაგებად. დიდი აგიტაცია და მოწოდება იყო პრესაში თუ სხვა და სხვა საზოგადოებებში და დაწესებულებებში „ნიუ ჰაუზინგ ბონდის“ შესახებ. ორ თვეში საჭირო თანხა შეგროვდა და ლონდონის თავისუფალ მიწებზე ინჟინრები და ტეხნიკოსები აფუსფუსდენ.

მაგრამ კიდევ მეტ ყურადღებას იქცევს ახლახან მისული ცნობა საფრანგეთიდან, სადაც ინგლისელებს იმ თავშიაც წაბაძეს. ცხადია კი ცხოვრებაა, რომ ფრანგებს მათთვის გადაუჭარბებიათ კიდეც. ქალაქ მარსელს ერთბაშად სჭირდებოდა დიდ ძალი ბინა, უმთავრესად მუშათა და საშუალო წრის ხალხისათვის. ანკეტის კომისიამ გამოარკვია, რომ ქალაქში ბინა შედარებით ძალიან ცოტა იყო. მაშინ რის საშუალებას, რომელიც ჩვენს მართველ პარტიას არ უყვარს და რომელიც უებარი წამალია ყოველ ამგვარ გაჭირვებისას — შეჯიბრებას. დანიშნეს პროექტთა კონკურსი. მრავალთა შორის მოწონებულ იქნა თურმე მხოლოდ ორი, რომელიც სულ მოკლე ხანში, ოთხ თვეში აშენებს ათას ბინას. ეს პროექტი, რასაკვირველია, პროვიზორულია; მინამ მოქალაქენი ნორმალ პირობებში შევლენ და ჩვეულებრივ სახლების შენებას დაიწყებენ და დაამთავრებენ, მარსელის თვითმართველობა, ყოველ ოთხ თვეში შესძლებს ათასი ბინის დამზადებას და მუშებისა და ყველა მოსურნე მოქალაქეთათვის გადაცემას. პროექტი შეიცავს ყველა მოთხოვნილებას, რაც კომისიისაგან წინასწარ გამოცხადებული იყო შესახებ ბინის იაფობის, დაჩქარებით აშენებისა და სხ. ბინები იქნება თითო სართულიანი (რედეშოსე). ათასი ბინის აგება პირველ ორს თვეში და მეორე ათასის აგება — დამთავრება მეორე ოთხ თვეში მარსელის თვითმართველობას დაუჯდება 32 მილიონი ფრანკი. რაც დაიფარება ნაწილობრივ და შემდეგ უნდა დაიფაროს სავსებით თვითმართველობის სესხით.

ევროპაში შენობებისა და ბინების ახლად გაჩენაზე უფრო მეტს ფიქრობენ და ახალი შრომითა და გარჯით სახლების გამრავლებაზე უფრო მეტს ზრუნავენ, ვიდრე ჩვენში, სადაც ყველა „მოღვაწე“-ს გმირობათ მიაჩნია თუ ვისმეს რამ წაართვა და ძალადობით შეჰლახა მესაკუთრის უფლება.

შედეგიც სავალალო გვაქვს. ნაცვლად აშენებისა, სახლები თავს გვენგრევა. თავს გვაწვება და გვათოვს.

ეს გახლავთ შედეგი სოციალისტების პოლიტიკისა.

დამფუძნებელი კრება

14 დეკემბრის სხდომა

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. სწარმოებს მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობაში მომხდარ ზოგიერთ ცვლილებების შესახებ.

ლ. შენგელაია

ცვლილებები მთავრობაში.

აღნიშნავს იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდა მთავრობაში და ამბობს: მთავრობაში მომხდარი ცვლილება სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. ის ეხება მხოლოდ კაბინეტიდან ერთი მინისტრის გასვლას და ზოგიერთი სამინისტროების გაუქმებას.

პირველი ცვლილება, როგორც მოგეხსენეთ, ეხება მიწათ-მოქმედების მინისტრის წასვლას, მეორე ცვლილება კი მდგომარეობს იმაში, რომ გზათა სამინისტრო შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ეს ყოვლად მიუღებელია თუნდაც იმ მოსაზრებითაც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მეტად რთული და ბევრი საქმეები აქვს დღევანდელ მომენტში.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე.

მესამე ცვლილება ის არის, რომ ჩვენში დაარსდა მუდმივი თანამდებობა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილისა. ამ თანამდებობის დაარსების გამართლება არაფრით არ შეიძლება. არ შეიძლება ამის გამართლება იმ მოსაზრებითაც, რომელიც აქ ჟორდანიამ მოიყვანა — საქმიანობის მოზრდა. მთავრობის თავმჯდომარეს ცალკე უწყება არ აბარია და მას ყოველთვის დარჩება იმდენი დრო, რომ მთავრობის თავმჯდომარის საქმეებს გაუძღვეს, ასე რომ საქმიანობის თვალსაზრისით ამ თანამდებობის გამართლება შეუძლებელია. ამის გამართლება შეიძლება მხოლოდ პარტიულ თვალსაზრისით, რომ ბ. ჟორდანიას მეტი დრო დარჩეს პარტიულ კოლექტივებში მოხსენებების წაკითხვისათვის. ასე რომ მთავრობაში მომხდარი ცვლილება, ვიმეორებ, სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი.

ჩვენ ჯერ კიდევ ნოემბრის პირველ რიცხვებში მოვითხოვეთ მთავრობის გადადგომა. ეს აქ ზოგიერთს კიდევაც გაუკვირდა, მაგრამ მასსას არ გაკვირვებია ეს (იცოდა). ხალხის ფართო წრეებში რომ მთავრობას ნდობა არა აქვს, ეს ცხადია. ალბათ თუნდა იძულებითი სესხი, რომლის საკითხი უკვე დაისვა მეორე დამფუძნებელ კრებაში — კოლექტივებში. თუ ნდობა აქვს მთავრობას, რა საჭიროა იძულებითი სესხის შემოღება, სადაც მისცემენ სესხს, თუ ნდობა არა აქვს, მაშინ, ცხადია, იძულება საჭი არის, რომ ალ ით ს ხმ.

ფულის [illegible]

ამ ნაირად რჩება ისევ ძველი მთავრობა ეს იმას ნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ავალიანი კვლავ განაგრძობს ყალბი ბონების ბეჭდვას (ხმაურობა: ჯუღელი: ეს პროვოკაციაა, ლატს სჩადიხარ. კიდევ ხმაურობა. ისმის ხმები: „ძირს“).

თავმჯდომარე: დაწყნარდით ბატონებო, ეს უკვე ორატორის მიერ წამოყენებულ ბრალდების დამტკიცებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ზომებს მიმართავ.

შენგელაია. დიახ, მე ვთქვი, რომ ფინანსთა მინისტრი ბ. ავალიანი ბათ განაგრძობს ყალბი ბონების ბეჭდვას (კვლავ ხმაურობა: ხმები: „ალბათ“ მაშინ არ გითქვამთ. შენგელაია ბრალდებას იმეორებს სიტყვა „ალბათ“ მოკლებით. თავმჯდომარე კვლავ ამშვიდებს კრებას. დეპუტატები დაჟინებით მოითხოვენ ადგილიდან საბუთების მოყვანას წამოყენებული ბრალდების დასამტკიცებლათ).

შენგელაია: მე ამის საბუთი მაქვს, არის მცირე კომისიის გამოძიება. — ხმები: (სად არის საბუთი, მოიტანეთ)

(ორატორის ესერების ფრაქციიდან დასცემენ რაღაც ქაღალდებს).

ჯოხი და ტალახი

შემდეგ, — განაგრძობს ორატორი, ძველი მთავრობა რჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ განაგრძობს ბარბაროსული მეთოდებით წესიერების დამყარებას, იმას მოასწავებს, რომ ჩვენში ჯოხი იბატონებს და კვლავ განმეორდება ლანჩხუთის ამბები. ეს იმას ნიშნავს, რომ ბ-ნი ერაძე კვლავ განაგრძობს ხალხისთვის ერთი გირვანქა ტალახის მიწოდებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მენშევიკების ცეკა კვლავ შეიძენს სტამბებს წითელ სახლს.

საიდუმლო დიპლომატია.

შემდეგ ორატორი ეხება საგარეო პოლიტიკას და ამბობს: არსად არ არის ისეთი საიდუმლო დიპლომატია, როგორც ჩვენში თუ რა ხდება ჩვენში, მტრებმა იციან, ჩვენ კი არაფერი ვიცით. დასასრულ ორატორმა მოითხოვა მთავრობის გადადგომა და სთქვა: თუ გინდათ ნამდვილი სოციალისტები და არა ხა (დიდი ხმაურობაა, ისმის ხმები: „ძირს“) თავმჯდომარე ზარს რეკავს და ორატორს აფრთხილებს, რომ თუ კიდევ დაუშვა ასეთი გამოთქმები, მაშინ იძულებული იქნება მას სიტყვა წაართვას. ხმაურობა გრძელდება. ორატორი ჩამოდის ტრიბუნიდან).

საფრანგეთის პრესსა.

ბათომის შესახებ.

„ტამპი“ სწერს:

„თუ ეს პორტი იქნა აღებული ოსმალების მიერ, თანხმობით, ან და ბოლშევიკების დახმარებით, მაშინ ანტანტას არ ექნებოდა საშუალება კავშირისა არც თბილისთან და არც მიელ კავკასიის რაიონთან. შესაძლოა დადგეს დრო, როდესაც ოსმალეთის ნაციონალისტები და ბოლშევიკები შეხვდნენ ერთმანეთს პირისპირ სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა ნანგრევებზე; მაშინ დაიწყება, თუ ახალ ფორმაში, რუსულ-ოსმალური ხლის ლვრა, რომელსაც ჰქონდა ადგილი კავკასიაში ეკატერინე მე-2 ხანიდან. პერსპექტივა იქნებოდა ჯეში. სომხეთისთვის რომელიც ბრიობამ გადასცა ტანჯული და აგრეთვე საქართველოსთვის რომელიც, როგორც სჩანს ეყრდნობა ეთის სიძლიერეს თუ ჩვენ არ ბით. ბრიტანეთის საადმირალო ლოლს იმ პოზიციის შესახებ, რომელიც უნდა დაიჭირონ, იმ შემთხვევაში ბათომს რამიმე საფრთხე მოევლინ.

რასაკვირველია ინგლისი არ ზავს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ტი მტრებს ჩაუვარდეს ხელში და სამეფის და სუდარინების ბაზად იქცეს“.

ტრაპიზონის ცნობა.

ჩამოსული ლაზები გადმოგვცემენ ოსმალეთი ხოფიდან ჯარებს ჰ საბერძნეთის ფრონტზე.

— ქემალ ფაშას თანაშემწემ ბრძ გასცა, რომ ყველა ისინი ვინც გ ვ მობილიზაციის სიკვდილით იქნე დასჯილნი.

(ბ. ფ

ბათომის პორტში.

14 დეკემბერს სტამბოლიდან მოვ მი „ქოლხი“ ბერძენ გამოქვე ფ?ლაყვანად.

— იტალიური გემი „კლეო წავიდა ფოთს მარგანეცის ჩა

— მოტორიანი იალქნიანი გემი „ თაისი“ რესპუბლიკის ნავთსადგურ წავიდა საქონლით და მგზავრებით.

— ამ დღეებში სოხუმიდან მოვ მი „მერანი“.

— მოვიდა გემი „დედოფალი“ მი „ბათომი“.

— გემმა დონეცმა მოიტანა ბათომისთვის.

15 დეკემბერს ნავთსადგურში მოვიდა იტალიური გემი „ანკონა“ მელმაც საქართველოსთვის სტამბ დან მოიტანა სხვა და სხვა საქონ (ბ.

სომხეთი.

ოჯანჯანიანის და სხვათა დაპატიმრება.

დ კარაკლისიდან მოსულნი მოგხრობენ შემდეგს: ეკემბრის 5 ს ბოლშევიკებმა შეიპს და მეორე დღეს კაზაკების გაძრებული ზედამხედველობის ქვეშ ოჯანში გაგზავნეს ყოფილი პრემი ჯ.მი ოჰანჯანიანი, ყოფილი მინი ი არტაშეს ჩილინგარიანი, პარ ენტის წევრები გეორგ ვარშამიანი, ნ ნავასარდიანი, ვაროს ბაბიანი, მი ოვსეფ ტერ დავითიანი, ყოფილი დრო წარმომადგენელი ბათუმში რან ონიევი, აგრეთვე კ ჩიფუნ და იანი და ხვანი, რიცხვით 16 კა

ლო სოფლების მცხოვრებთა ვედ ამ, რომ გაენთავისუფლებინათ მინი ები მაინც, უშედეგოთ ჩაიარა. ნე კი არ მისცეს მათი ნახვისა. დი ქარაკლისი მთლად მოწყვეტი ერევნიდან და ცენტრალურ მთავ ბასთან დამოკიდებულებისათვის საება არ არის.— („აშხ“)

უცხოეთში

მდგომარეობა საბერძნეთში.

5 დეკ. გაზ. „ჰაკიმ საბახი“ სწერს: ელლისის მთავრობა ყოველ ღონეს ებს რათა შეამციროს ის არა სასურველი მდგომარეობის შედეგი ქვეყნისთვის, რაც გამოიწვია ვენიზელოსის მარცხებამ. კონსტანტინეს მომხრეები აგრძობენ განცხადებების შემოტანას და მოსალოდნელია, რომ პარლამენტის პირველ შეკრების დროს ისინი მოიტანენ წინადადებას კონსტანტინეს დაბრუნების შესახებ. სტამბოლის ბერძნულ წრეების აზრით, ათინის მთავრობა დიდად დაინტერესებულია ამ მა შესახები საკითხით. მთავრობის წევრებს შორის ხშირათ ხდება კერძო ბაასი ამ საჭირბოროტო კითხვის გადაწყვეტისათვის. მაგრამ საბერძნეთის ხალხის გარდა ამ კითხვით დიდათ არის დაინტერესებული პარიზისა და ლონდონის კაბინეტებიც. ამ კაბინეტებმა თავის თათბირზე გადასწყვიტეს იმოქმედონ შეთანხმებით ანტანტის მოწინააღმდეგის საბერძნეთის ტახტზე დაბრუნების წინააღმდეგ. შესაძლებელია, რომ კონსტანტინეს მაგიერ ანტანტა დასვამდეს პრინც გიორგის ტახტზე ასლას.

6 დეკ. გაზეთი „იქდამი“ სწერს: „ვენიზელოსის დამარცხების შემდეგ, ანტანტის სიმპატია საბერძნეთისადმი გაქრა. ეს ადვილი გასაგებია, ვინაიდან ანტანტა პატივს სცემდა მხოლოდ ვენიზელოსის პიროვნებას, როგორც თავის გამგონე მოსამსახურეს. ანტანტამ მაინც არ დაყარა იარაღი. ის ახლა ახალ პიროვნებას ასახელებს საბერძნეთისათვის, რომელიც გააგრძელებს ვენიზელოსის პოლიტიკას. ეს პიროვნება არის საბერძნეთის პატრიარქი. პატრიარქმა განაცხადა, რომ ვენიზელოსის პოლიტიკა ერთად ერთი სწორი პოლიტიკა იყო საბერძნეთის ბედნიერებისათვის, ის იმუქრება, თუ საბერძნეთი ამ პოლიტიკას უარყოფს, მაშინ ის ვერ მიიღებს ანტანტიდან დახმარებას და ანტანტას საბერძნეთმა ბევრი რამე უნდა დაუბრუნოს.“

4 დეკ. გაზეთი „ვაკიტი“ სწერს: „ანტანტას განზრახული აქვს მოთხოვოს საბერძნეთის ახალ მთავრობას ყველა ის იარაღები და ტანისამოსი, რომელიც მიიღო საბერძნეთმა ანტანტისაგან ვენიზელოსის მინისტრობის და მისი მთავრობის დროს.“ გაზეთი „ვაკიტი“ და საბერძნეთის სხვა გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ ამ მოთხოვნილებას. ამას ხსნიან იმ მოსაზრებით, რომ ანტანტას ასეთ ახალ მოთხოვნილებით სურს გავლენა იქონიოს ახალ მთავრობაზე და დაიმორჩილოს თავის გავლენის ქვეშ საბერძნეთის ახალი საჭირო პოლიტიკა.

8 დეკ. გაზეთი „იღბალი“ სწერს: „ოქტომბრის რევოლიუციამ გამოაფხიზლა ყველა ხალხი, რომლებიც დღეს იბრძვიან განსათავისუფლებლათ. რუსეთის მაგალი, რომელიც დღეს გადავიდა ირლანდიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ინგლისში და ჩვენი პლანეტის სხვა ქვეყნებში, აშკარათ მოწმობს, რომ დაჩაგრულები იღვიძებენ და იბრძვიან თავისუფლებისათვის. რევოლიუციონური ტალღები თავს დაესხა მსოფლიოს მჩაგვრელებს. ყველგან მღელვარება აჯანყება და გაფიცვებია. ყველა ამას მივყავართ ერთ მიზნისაკენ, საერთო აჯანყებისაკენ, კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ მჩაგვრელებისაგან.

7 დეკ. გაზ. „კირასუნი“ სწერს: „უკანასკნელ წლების ამბები დასაწყისია კაცობრიობის უბედურების დაბოლოების, იმ უბედურების, რომელიც წარმოსდგა იმპერიალიზმისაგან. ყველა ჩვენგანი დარწმუნებულია იმაში, რომ კაცობრიობა დღეს თუ ხვალ ამოისუნთქავს თავისუფლათ. სტამბოლის მთავრობა, რომელიც ემხარებოდა ანტანტას თავისივე ხალხის დამონების საქმეში, იძულებული შეიქნა შეედგინა ახალი კაბინეტი. ის იძულებული შეიქნა თავი დაენებებია ნახევრათ მაინც ანტანტის წინაშე ლაქიობისათვის. რუსეთში გაბატონებულია ბოლშევიზმი, რაც წარმოადგენს სოციალიზმის უმაღლესათ სწორ საფეხურს. წან სასტიკათ დაამარცხა რუსეთის თეთრგვარდიელები და გადაყარა ისინი შავ ზღვაში. ყველა ეს ამბები ჯერ კიდევ მხოლოდ ყვავილია, ნაყოფი აწი იქნება.

ოსმალეთი და ბოლშევიზმი.

ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავი ანგორაში.

30 ოქტ. დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა ანგორაში ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავის დღესასწაული. საბჭოთა მისიამ მოაწყო ორი სპექტაკლი მიტინგი, რასაც დაესწრო მრავალი ხალხი და მთავრობის წევრები თვით მუსტაფა ქემალის მეთაურობით. სპექტაკლზე წარმოდგენილ იქნა რევოლიუციონურ შინაარსის პიესები. წარმოთქმულ იქნა სიტყვები, სადაც ახსნეს და განმარტეს რევოლიუციის მნიშვნელობა. მის შენობაზე წარწერილი იყო ოსმალურ ენაზე სხვადასხვა რევოლიუციონური ლოზუნგები. კონცერტის შემდეგ მოეწყო ცეკვა სადაც პირველათ ანგორაში პირაბდილი თამაშობდენ ოსმალო ქალები.

ლენინის შესახებ.

7 დეკ. სამსუნის ოსმალოს გაზეთი „ილერი“ სწერს:

ლენინი—კაცობრიობის სიამაყეა.

ლენინი—მშვენების მზეა ყველა ხალხის.

ლენინი—ისტორიული პიროვნებაა.

მთელი კაცობრიობა აქებს-ადიდებს ლენინს, პატივს სცემს მას, როგორც დიად სოციალისტს, რომელიც ათავისუფლებს ყველა დაჩაგრულთ. ლენინის გენიის წინაშე იჩრდილება მარქსი და სხვებიც. ლენინის წინაშე ცახცახებენ მთელი ქვეყნიერების დესპოტები. ლენინი მათთვის მეხია! ლენინი ნუგეშია დაჩაგრულთა. რომ დაეჩრდილა ლენინის მნიშვნელობა, რომ გაენიავებია მისი დიდი სახელი და მისი სახით მთელი კაცობრიობის იმედები, ანტანტამ, განსაკუთრებით ინგლისმა წაუსისინა ლენინის მიერ განთავისუფლებული ხალხები ერთი მეორეს.

დენიკინს, იუდენიჩს და კოლჩაკს აწვდიდა ოქროს, სურსათს და ამავე დროს კი რუსეთს სულს ხდიდა ბლოკადით.

მაგრამ მოწინააღმდეგე ჯარები უკუქცეულ იქმნა ლენინით, აღფრთოვანებული მასსების მიერ.

დასასრულ ანტანტამ უკანასკნელი იმედი დაამყარა ვრანგელს, მაგრამ ხალხის ქარიშხალმა დაფანტა უკანასკნელი ნაგლეჯები ღრუბლისა, რადგანაც ლენინი, რომელიც თავის მოძღვრების მზის სიცხოვლით ეალერსება კაცობრიობას დაუმარცხებელია.

ღარიბ ღატაკთა მიტინგი სტამბოლში.

5 დეკემბერი. „ილერი“ სწერს. სტამბოლი ლტოლვილებით ავსებულია. ანტანტის დაწესებულებების უთვალავია ცხოვრება აუტანელი ხდება. ბინის და სურსათის საკითხი გამწვავებულია. მოთმინებიდან გამოსული ღარიბ-ღატაკი ხალხი სკეტინგრინგის მოედანზე გამოვიდა და მიტინგი მოაწყო. მათ დაადგინეს თავისი უნუგეშო მდგომარეობის შესახებ ფადი შახს და მინისტრებს აცნობონ. მასთან, გადაწყვიტეს თუ მათი მოთხოვნილებას ყურადღება არ მიექცევა, მომავალ კვირას ისევ მოაწყონ ახალი მიტინგი და დამოუკიდებლათ იმოქმედონ. მიტინგზე მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ერთმა ოსმალო—ქალმა. მან სთქვა, რომ იგი ბავშვებით ღია ცის ქვეშ არის დაყრილი, ცხოვრების ყოველგვარ სახსარს მოკლებული. მისმა სიტყვამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია ხალხში.

დეპეშები.

როსტის ცნობა

ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის სხდომაზე განიხილეს საკითხი ახალ სახელმწიფოების მიღების შესახებ. მოტტამ მიმართა თხოვნით ერთა ლიგას მიეღო თავის შემადგენლობაში გერმანია და მასთან ერთათ ავსტრია. შემდეგ ილაპარაკა ვივიანმა, რომელმაც განაცხადა რუსეთის შესახებ, რომ საფრანგეთი არ დაუშვებს დაბალ კლასების ტირანიას ისე, როგორც მაღალი კლასისას და რომ საფრანგეთი მოუცდის იმ დროს როცა დიდი რუსეთი, [illegible] თავის [illegible] ლიგაში, მიმართავს ბოლოს და ბოლოს მმართველობის დემოკრატიულ მეთოდებს. ამის გარეშე კი შესაძლებელია იარსებოს მხოლოდ ანარქიამ ამ დესპოტიზმმა. გერმანია კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შევა ერთა ლიგაში თუ იგი მოგვცემს განსაზღვრულ გარანტიებს, რომ იგი გულწრფელად აასრულებს თავის თავზე მიღებულ ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორც ისტორიის ისე მთელი ქვეყნის თვალში, სთქვა ვივიანმა, გერმანიის მიღებას ჩასთვლიდენ არა ზნეობრივ მოქმედებათ და უფრო აალევლებდა მას, ვინაიდან გერმანიის მიღება ერთა ლიგაში იქნებოდა უკანონო, რადგანაც მას არ ექნებოდა მოყვანილი სისრულეში თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი. როგორც ავტორიტეტი შეგვეძლო ჩვენ გვ არ ე ლა მომავალი, როგორც შეგვეძლო ჩვენ გაგვერიცხა ერთა ლიგიდან ს წევრი, რომელმაც დაარღვია საერთო წესი. თუ ეხლავე მივცემდით ქვეყანას მაგალითს უზნეობისას და არა სამართლიანობისას. ლორდ რობერტ სესილი მიესალმა ვივიანს და სთქვა: რომელი სახელმწიფოც არ უნდა წარმოსდგეს ჩვენ წინაშე იქნება ეს გერმანია თუ რუსეთი ჩვენ მოვსთხოვთ მას ერთ და იმავე პირობების შესრულებას.

ავსტრიის ერთა ლიგაში მიღებას 35 სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა. ბოლგარეთი 35 ხმით ერთი ხმის იქნა მიღებული. საფრანგეთის [illegible] ა. ვივიანმა განაცხადა: რომ მას არაფერი არა აქვს ბოლგარეთის წინააღმდეგო, მაგრამ ბოლგარეთის საქმეებში ის არ თვლის თავის თავს ავტორიცეტულათ. კოსტა რიკა მიღებული იქნა 38 ხმით, ფინლიანდია 39 ხმით, ასევე ლიუქსემბურგი. სომხეთის მიღების საკითხი უარყოფილი იქმნა 31 ხმით წინააღმდეგ 8 ხმისა. საფრანგეთმა თავი შეიკავა.

ს. დ. ს. ს. გ. ცნობები.

ბოლშევიკები ომისთვის ემზადებიან.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება: მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის ყველა ფრონტზე შეწყვეტილია სამხედრო მოქმედებანი, რუსეთი მაინც ემზადება საზამთრო კომპანიისათვის. უკანასკნელი დეკრეტით გამოცხადებულია მობილიზაცია 36 წლამდე. ამავე დეკრეტით წინდახედულია მამაკაცს შეცვლა ქალებით ქარხანა ფაბრიკებში.

ვრანგელი და საფრანგეთი.

„როიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ მოსკოვის პრესას ცნობა იმის შესახებ, თითქოს ინგლისს ვრანგელისათვის გემებით დახმარება აღმოეჩინოს მისი ჯარების ევაკუაციის დროს, სიმართლეს არ შეესაბამება. ვრანგელის ჯარი გადაყვანილი იყო რუსეთის ტრანსპორტით. ბრიტანეთის სამხედრო გემებით წამოიყვანეს მხოლოდ ექვსოდე ბავშვი ინგლისელ ქვეშევრდომებისა: ეს ბავშვები სევასტოპოლის ჰოსპიტალში იმყოფებოდნენ.

ერთა ლიგაში.

ჟენევა. ერთა ლიგის კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს შეიარაღების შემცირება, დაადგინა კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება მისცეს პრესის წარმომადგენელთ.

შვეციის, ნორვეგიისა და დანიის წარმომადგენელებმა უარი განაცხადეს თავის თავზედ აეღოთ ინიციატივა ერთა ლიგაში გერმანიის ჩარიცხვის საკითხში.

გერმანია და ანტანტი.

გერმანიის მთავრობამ ერთა ლიგას მიმართა პროტესტით საფრანგეთისა და ინგლისის მიერ გერმანიის ახალშენებზე პროტექტორატის დაწესების გამო. გერმანია ამაში ვერსალის ხელშეკრულების დარღვევას უყურებს.

წითელი ლაშქარი.

პარიზი. საფრანგეთის პრესა იუწყება აზიის ჯარების შესახებ. ამ ცნობების მიხედვით სპარსეთსა და ირანში ბოლშევიკებს შეუდგენიათ ახლო აღმოსავლეთის კომუნიზაციის მიზნით იმგვარივე ტიპის რაზმები, როგორც არის ლატიშებისა და ჩინელების დივიზიები.

წითელ ჯარში შემოიღეს წარმატების და სხვა და სხვა ნიშნები, მათ შორის წითელი ვარსკვლავისა და წითელი დროშის ორდენები. გავრცელებულია აგრეთვე დაჯილდოვება ოქროს იარაღით, პორტსიგარით, ოქროს საათებით და სხვ. პრესა იუწყება აგრეთვე ტროცკის მატარებლის დაცვის შესახებ; მას იცავენ ლატიშების რაზმები, რომლებსაც მაყვალის ფერი ფორმა აცვიათ. თვით მატარებელს რკ. გზ. სადგურზე იცავს [illegible] აგენტები. იმ მიზნით, რომ ვერ შესძლონ ტროცკის ტყვიის აფეთქება, ვაგონს ქვევით ჯავშანი აქვს გაკეთებული.

საბჭოთა მთავრობის ფინანსები.

ლონდონი. ინგლისური პრესა იუწყება: საბჭოთა მთავრობის ფინანსიური ცხოვრება სრულიად დაშლილია. თითქმის არავითარი შემოსავალი არ არის, გასავალი კი განუსაზღვრელია. მიუხედავათ იმისა, რომ მოაწყვეს ქაღალდის და ამზადელი ახალი ექსპედიცია და ფულის საბეჭდი მანქანები შეუჩერებლივ მუშაობენ, ქაღალდის ფულის მაინც დიდი ნაკლებობა არსებობს. არავითარი ვაჭრობა არ არსებობს. მაღაზიები დაკეტილია. ღიაა მხოლოდ საბჭოთა ცარიელი დუქნები.

საბჭოთა რუსეთი და ინგლისი.

ლონდონი. კრასინმა მოსკოვის მთავრობის სახელით ლოიდ-ჯორჯს მიმართა თხოვნით, რომ მან გავლენა მოახდინოს მოკავშირე სახელმწიფოებზე იმ მიზნით, რომ მოკავშირეებმა დახმარება არ გაუწიონ ვრანგელს, პეტლიურასა და გენ. ბალახოვიჩს. ამასთანავე საბჭოთა მთავრობამ პროტესტი განაცხადა ლორდ კერზონის ბრძანების გამო, რომელიც ბალტიის ზღვაში არსებულ რუსეთის გემებისა და წყალქვეშა ნავების დაკავებას შეეხება.

სამხრეთ რუსეთი.

სტამბოლი. გაზ. „სტამბოლი“ ბეჭდავს როძიანკოს წერილს სამხრეთ-რუსეთის მდგომარეობის შესახებ. წერილში აღნიშნულია: ვრანგელის დამარცხების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა უკრაინას, რომელიც მტრულად უცქერის ბოლშევიზმს. როძიანკო ფიქრობს, რომ სამხრეთ რუსეთი უფრო ადვილად განთავისუფლდება ბოლშევიკებისაგან ვინემ ჩრდილოეთი რუსეთი ან ციმბირი.

იგი აღნიშნავს: ანტიბოლშევიკური რუსეთის მომავალმა მეთაურებმა ყოველთვის ანგარიშში უნდა გაუწიონ იმ ფაქტს, რომ რუსეთში არსებულ [illegible] დეცენტრალიზაცია. ამიტომ რუსეთის სახელმწიფოს აღსადგენად საჭიროა ახალი გზის გამონახვა, სახელდობრ დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმთა ფედერაცია, რომელთაც ერთი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები ექნებათ.

გერმანული ცნობები.

ზარალის ანაზღაურება.

„დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგი“ დარწმუნებულია იმაში, რომ გაზეთ „ტაიმში“ გამოქვეყნებული ცნობები ზარალის ანაზღაურების შესახებ, უნდა განხილულ იქმნეს როგორც საფრანგეთის პროგრამა ბრიუსელის კონფერენციაზე. გაზეთი ფიქრობს, რომ საფრანგეთს სურს მოიგოს დრო. საფრანგეთი შეუძლებლად სთვლის გერმანიის ეკონომიურ ცხოვრების აღდგენას და იმავე დროს მას სურს [illegible] მიიღოს გერმანიის ფინანსიურ ცხოვრების კონტროლისა. გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გერმანიას არ შეუძლია დაეთანხმოს საფრანგეთის პირობებს. გერმანიისათვის საჭიროა დრო მის აღსადგენად, მეორე მხრივ მან დაჟინებით უნდა მოითხოვოს, რომ მას დაუყოვნებლივ აცნობონ იმ თანხის რაოდენობა, რომელიც გერმანიამ უნდა გადაუხადოს ანტანტას.

პოლონეთი და პრუსია.

დანციგის პარლამენტმა მიიღო რეზოლიუცია, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ გადადგას ნაბიჯები იმ მიზნით, რათა ხელი შეუშალონ პოლონელებს აღმოსავლეთ პრუსიის წინააღმდეგ სიმაგრეების აგებაში და ამგვარივე სიმაგრეების აგებაში ზღვის ნაპირას დანციგის ტერიტორიაზე და აგრეთვე უფლება არ მისცენ პოლონეთის დივიზიონს, რომ იგი დანციგის საგარნიზონო ჯარის მოვალეობას ასრულებდეს. ამ რეზოლიუციას ხმა მისცეს ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა.

ანტანტის კონფერენცია.

ვაშინგტონისა და ანტანტის კონფერენციაზე, რომელიც შეეხებოდა გერმანიის ძველ კაბელთა განაწილებას, შეთანხმება არ მომხდარა. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ყველამ დელეგაციამ მოხსენება გაუკეთოს თავის მთავრობას.

„ჩიკაგო ტრიბუნ“ იუწყება: ხუვერი, რომელიც წინააღმდეგია ჰარდინგის საგარეო პოლიტიკისა, მოითხოვს, რომ შეერთებული შტატები შევიდნენ ერთა ლიგაში, რადგანაც ლიგის ხელშეკრულება რამდენიმე უკვე გამოცვლილია. შემდეგ ხუვერი დაჟინებით მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ იქნეს გამორკვეული გერმანიის ვალი, რათა ამგვარათ გერმანიას შეეძლოს და მოისურვოს ვალის გადახდა.

რუსეთის ცნობები.

სურსათის აღმოჩენა.

მოსკოვი 16—12. სმოლენსკის ჩეკამ მსტისლავის მაზრაში არსებულ მოზოლოვის მონასტერში დიდ-ძალი სურსათი და სხვა საქონელი აღმოაჩინა.

საქართველოში მცხოვრები რუსები.

საქართველოში მყოფი რუსი არტისტები და სხვა პროფესიების წარმომადგენლები აცხადებენ სურვილს რუსეთში უკან დაბრუნებისას.

რუსეთის ქონების ფლანგვა.

კონსტანტინოპოლში სპეკულიანტები რუსეთის ფლოტის გემებით ვაჭრობენ. ვრანგელის ყოფილმა მინისტრმა ოფიციალურათ განაცხადა, რომ სამხედრო ფლოტი, გადაეცემა საფრანგეთს, ვრანგელის ჯარის შესანახად გაწეულ ხარჯების დასაფარავად.

ესერების მუშაობა საზღვარგარედ.

ესერთა პარტიის კომიტეტი იწვევს პარიზში ყოფილ დამფუძნებელ კრების წევრებს, რუსეთის ახალ მთავრობის შესადგენათ და გამოსაცხადებლათ.

ღირსეული შეფასება.

ინგლისის დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ დაბეჭდა იმ კომიტეტის ანგარიში, რომელმაც საბჭოთა რუსეთის ცხოვრების პირობები შეისწავლა. კომიტეტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ძალა უფლება არის რუსეთში რევოლიუციის ერთ ერთი იარაღი.

ეინვა ჩატეხილია.

სტამბოლში მყოფმა ინგლისის მისიამ ნება დართო ინგლისის სავაჭრო გემებს საბჭოთა რუსეთის ნავთსადგურებში შესვლისა.

მეფე უნდათ.

რიგა 12. უნგრეთის წვრილ მესაკუთრეთა კონგრესმა მოითხოვა მონარქიის აღდგენა.

ბელორუსეთის ახალი ყრილობა.

მინსკში გაიხსნა ბელორუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობა. ყრილობა გაიხსნა 11 თვის შეწყვეტის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ბელორუსეთი პოლონეთის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა.

— საბჭოთა გაერთიანებული საგუბერნიო ყრილობა. საბჭოთა რუსეთის საერთო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ტროცკიმ „ჩვენ განვიცდით პირველ მომენტს, როდესაც არა გვაქვს სამხედრო ფრონტი.“ გადავიდა რა სამშვიდობო პერსპექტივებზე ამა. ტროცკიმ აღნიშნა; მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არ გვემუქრება უშუალო მტერი, ჩვენ მაინც არ ვფიქრობთ განიარაღებას. სამშვიდობო ორიენტაცია ჩვენი პოლიტიკისა ჯარის მოწყობასთან ერთად გვისახავს მიზნათ მრეწველობის დარგში სრულ შეთანხმებულ მეურნეობის წარმოებას. ჩვენი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი მეურნეობის ყველა დარგი: სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა და ჩვენი ტრანსპორტი იქნეს აყვანილი განსაზღვრულ სიმაღლეზე. ამ ჟამად თვითდაცვის შრომის საბჭო გადაკეთდება მუდმივ ეკონომიურ თათბირად. მისი მიზანი იქნება მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების დაწინაურება და მთლიანი სამეურნეო ფრონტის შექმნა, სადაც სოფელი მუშაობს ქალაქისათვის და ქალაქი სოფლისათვის. მუშებს და გლეხებს, რომ არ ჩაეგდოთ ძალა-უფლება ხელში, ქვეყანა დაიღუპებოდა. ერთად ერთი ქვეყანა, რომელიც არ არის დამონავებული ინგლისისა და ამერიკის გამარჯვებულ იმპერიალიზმის მიერ, ეს არის ჩვენი, თუმცა ღარიბი, გამოფიტული საბჭოთა რუსეთი.

ქალაქში.

სამინისტროებში.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში. შინაგან საქმეთა სამინისტროში მოვიდა ზუგდიდიდან დეპეშა, რომელიც ზუგდიდის მაზრის ყაჩაღთა ბრბოებიდან გაწმენდის შესახებ იუწყება. უკანასკნელ ყაჩაღთა დარსელიას და ხვინგიას დევნის დროს გმირულად დაიღუპა სარაიონო კომისარი შამუგია და [illegible] თავმჯდომარე ჯავახია, უფროსი მილიციონერი რეღონაია და მილიციონერი თორუა.

— შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით დეკემბრის 11 შესდგა თათბირი ქალაქთა საბიუჯეტო უფლებათა საკითხის შესახებ. თათბირს დაესწრნენ მინისტრის ამხანაგი [illegible], თბილისის ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი, ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე ელიავა, ერობათა კავშირის თავმჯდომარე სოლომაშვილი ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ოპოჩინინი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილების უფროსი რუხაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მდივანი ლომთათიძე და სენატორი კალანდარაშვილი. თათბირის განსახილველად ორი პროექტი წარუდგინეს: ფინანსთა სამინისტროსი და ქალაქთა კავშირის. თათბირმა ორივე პროექტი განიხილა რის შემდეგაც მიღებულ იქნა ქალაქთა საბიუჯეტო უფლებათა პროექტის ძირითადი დებულებები: 1. სასარე წილი გადასახადი. 2. აქციზი ღვინოზე, 3. გადასახადი მემკვიდრეობაზე, 4. საგანგებო გადასახადი. დასასრულ თათბირმა დაადგინა: მიეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიტანოს მთავრობაში განსახილველად ქალაქთა საბიუჯეტო უფლების პროექტი შესწორებით.

— მომარაგების სამინისტროში. მომარაგების სამინისტროში დასრულდა მუშაობა შემფასებელ კომისიისა, რომელშიაც იღებენ მონაწილეობას მეთამბაქოეთა, საზოგადოებრივი დაწესებულებების სავაჭრო პალატისა საქციზო სამმართველოს დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები. შემფასებელ კომისიას უნდა გამოერკვია 1919 წლის მოსავლის თამბაქოს თვითღირებულება, იმ თამბაქოსი, რომლის რეალიზაცია უნდა მოხდეს მეთამბაქოებთან ერთად. კომისიამ შეიმუშავა განსაზღვრული ფასები და გამოსთქვა სურვ. გადიდებისა. ეს ზომა გამოწვეულია მით, რომ 1919 წელში გაწეულ ხარჯების დაფარვის პლანტატორები მხოლოდ 1920 წელში შესძლებენ. მომარაგ. სამინისტრომ, მიიღო რა მხედველობაში კომისიის სურვილი დაადგინა: 1919 წლის მოსავლის თამბაქოს თვით ღირებულება. ამასთანავე ამ საკითხში კოოპერატიულ ამხანაგობათა და მეთამბაქოთა პლანტატორთა წარმომადგენლებთან სრული შეთანხმება.

— მიწად მოქმედების სამინისტროში. მიწად მოქმედების სამინ[illegible] [illegible] განყოფილება [illegible] ექსპლოატაციის შე[illegible] [illegible] სავალდებულო [illegible].

— [illegible] განზრახულია [illegible] გაჯანსაღება. განზრახულია [illegible] [illegible].

დამფუძნებელ კრებაში.

— დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის სახელზე მანგლისის რაიონის მცხოვრებთა საერთო კრებისა, მთავართ შტაბის რწმუნებულებისა და თემის გამგეობის თავმჯდომარის ხელით შემდეგი დეპეშა მოვიდა: მანგლისის რაიონის მცხოვრებნი, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, ზეიმით დღესასწაულობენ გვარდიის სამი წლის არსებობას. ამ ისტორიულ დღეს ხალხი რწმენას გამოსთქვამს, რომ რესპუბლიკა დამფ. კრება აღნიშნავს გვარდიის თავგანწირულ ბრძოლის შედეგს. ხალხი მტკიცე ბრძოლით განამტკიცებს დამფ. კრების ნებასურვილებს. მანგლისის რაიონის მოქალაქენი ფიცს სდებენ, რომ სახალხო გვარდიასთან და ჯართან ერთად იბრძოლებენ რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ.

სატარიფო პალატაში.

სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა ქალ. ელექტრონის სადგურის მუშებისათვის დაადგინა სატარიფო ხელფასი.

— სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა დაადგინა: 1, იმ სამხედრო სკოლების მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი, რომლებიც მოქმედებას ნოემბრის 26 დაიწყებენ, და 2) მელითონეთა კავშირისაგან წარმოდგენილი ხელფასი, შინაგან საქმეთ სამინისტროს სახელოსნოს მუშებისათვის.

ქ. ლ. თვითმართველობებში.

ქალაქთა საბიუჯეტო უფლება. ქალაქთა კავშირის კომიტეტმა შეადგინა საგანგებო კომისია სენატორ კალანდარაშვილის თავმჯდომარეობით, ქალაქთა კავშირისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ ქალაქთა საბიუჯეტო უფლების პროექტთა ერთმანეთთან შესათანხმებლად, თანახმად ამ საკითხის შესახებ მთავრობის დადგენილებისა.

— ქალაქის საქმეები. ქალ. თვითმართველობამ დაადგინა შესწყვიტოს ტრამვაის მოსვლა [illegible] და [illegible] ტრამვაის გზის გაყვანის გამო. ვერის დაღმართზე მოსიარულე ტრამვაები ივლიან ვორონცოვის ქუჩით.

— ქალაქის სასაკლაოსთან დაიწყო მოქმედება ქალაქის თვითმართველობის კალბასის ქარხანამ, რომელიც დღე და ღამეში 15 ფუთ კალბასს დაამზადებს. მოკლე ხანში ქარხნის წარმოება გადიდებული იქნება 80 ფუთამდი. გირვანქა კალბასი 150—250 მ. ნ. ღირებს. ქარხანას თვითმართველობა [illegible] [illegible] და [illegible] [illegible].

მუშათა ცხოვრება.

— მუშათა მდგომარეობის გამომკვლევ. ცენტრ. სტატისტ. კომიტეტში შედგა მუშათა და მოსამსახურეთა საბიუჯეტო მდგომარეობის გამომკვლევ კომისიის მორიგი სხდომა. ამავე სხდომაზე განიხილეს ანკეტის პროექტი, რომლის საბოლოო დამუშავება შემდეგი სხდომისათვის გადადევს.

— ცენტრ. სტატისტიკური კომიტეტი შეეკითხა ერობებსა და რესპუბლიკის სტატისტიკურ ორგანოებს: 1. როდის არის სასურველი სტატისტიკოსთა ყრილობის მოწვევა, 2. რა უნდა იქნეს ყრილობის პროგრამმა, 3. როგორ მოხსენებებს წარადგენენ ყრილობაზე და 4. ერობები ვის გაგზავნას ფიქრობს ყრილობაზე.

— ცენტ. სტატისტ. კომიტეტმა მოაწყო საინფორმაციო განყოფილება, რომელმაც მიმართა მთავრობას და საზოგადოებრივ ყველა დაწესებულებებს თხოვნით, რათა მათ მიაწოდონ მას ყოველგვარი მასალა, რომელიც რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებას შეეხება.

სამეურნეო პალატა.

— კვირას, 19 დეკემბერს, 1920 წ. ცენტრობანკის ბინაზე მოწვეულია პირველი კრება „სასოფლო სამეურნეო პალატის“ სხდომა, რომელსაც დაესწრება ყველა დაწესებულება და წარმომადგენლნი. სხდომა შესდგება დილის 11 საათზე.

სხვა და სხვა

ჟურნალი „აისი“. გამოვიდა ჟურნალი „აისის“ № 2. მონაწილეობენ: გალაკტიონ ტაბიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, გრიგოლ ცეცხლაძე, ვ. გორგაძე, ლადო მაჭავარიანი, შ. ლორდელი და გრ. ზოდელი. ჟურნალი ღირს 100 მან. რედაქტორი: ლადო მაჭავარიანი.

— თვალსაჩინო ქურდობა. ამ თვის 6 [illegible] წინად თბილისის საბარგო სადგურიდან ვიღაცეებმა გაიტანეს 25 მილიონად ღირებული საქონელი,—მანუფაქტურა. ეს საქონელი გამოგზავნილი

ყოველ ვაჭარ მუხტაროვის სახელობაზე და თბილისში მოვიდა 29 ოქტომბერს. შაბათს 30-ს საწყობების დაკეტვის დროს სადგურზე გამოცხადდა ვიღაც, წარადგინა კანონიერი იარლიკი № 13070 და საქონელი საჩქაროდ გაზიდა. ამ გვარად, ნამდვილი პატრონი ბ-ნ მუხტაროვი უსაქონლოდ დარჩა.

რკინის გზამ ამ საქმის გამოძიება მიანდო სადგურის მილიციის უფროს, რომელმაც დაავალა თავის თანაშემწეს ჭრელაშვილს ქურდების აღმოჩენა. ჭრელაშვილმა ისე მოხერხებით აწარმოვა საქმე, რომ მალე მთელი ბანდა აღმოაჩინა. ქურდები აღმოჩნდენ საბარგო სადგურის კასსირი გიორგი ოქროჯილდონიძე, წინავი გიორგი თოფჩიაშვილი, მეგობარი აფრიდონიძე და ივანე მელოვაძე, ვლადიმერ ლორთქიფანიძე და მ. სიორი ბიძაშვილი. გაიძვერებს საქონლის ნაწილი უკვე გაეყიდნათ და 5 მილიონამდე აღებული ფული ერთმანეთში გაეყოთ. მილიციამ ყველანი შეიპყრო, ფულები და გაყიდული საქონელი უკლებლივ დაიბრუნა და კანონიერ პატრონს გადასცა.

პარტიული ცხოვრება.

ეროვნულ დემოკრატ. მოსწავლე ახალგაზრდათა სრულიად საქართველოს ორგანიზაციების მე 4 ე კონფერენცია მოწვეულია 1920 წ. დეკ. 19-ს.

განსახილველი კითხვები:

ა. მომენტი.

ბ. მოსწავლე ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტის მოხსენება კომიტეტის მოქმედების შესახებ.

გ. მოხსენებანი ადგილობრივი ორგანიზაციებიდან.

დ. ჩვენი პარტია.
1. პროგრამული მხარე:
ა. პოლიტიკური ნაწილი;
ბ. სოციალ ეკონომიური ნაწილი.
2). ტაქტიკა.
3). პარტიული მუშაობა.
ა. მთავარი კომიტეტი.
ბ. დამფუძნებელი კრების ფრაქცია.
გ. პარტიული პრესა.
დ. გეგმა მომავალი პარტიული მუშაობისა

ე. არჩევნები.

ვ. ზოგადი ხასიათის მოხსენებანი.

წარმომადგენლობის წესი:

1. ახალგაზრდათა მთავარი და სტუდენტთა კომიტეტების სრული შემადგენლობა.

2. ყველა მოსწავლე ახალგაზრდათა ორგანიზაციებიდან ყოველს 50 წევრზე 1 დელეგატი.

3. სადაც 50-ზე ნაკლებია, შეუძლია იყოლიოს კონფერენციაზე 1 დელეგატი.

ყველა ორგანიზაციები ვალდებულნი იყვნენ წერილობით წარმოადგინონ მოხსენება ორგანიზაციული მუშაობის შესახებ და პროგრამულ კითხვებზე.

5. დელეგატს უზრუნველ ყოფს ადგილობრივი ორგანიზაცია.

ერ. დემ. პარტ. ახალგაზ. მთავარი და სახელ. უნივ. სტ. კომიტეტები.

რესპუბლიკის თავდაცვისათვის.

ფრონტის დამხმარე კომიტეტმა მიმართა სახალხო განათლების სამინისტროს თხოვნით განუმარტონ სასწავლებლებს მნიშვნელობა ,,ფრონტის შობის დღეებისა'', რომლებიც დეკემბრის 25-სა და 26 იმართება. თავის თხოვნაში კომიტეტი გამოსთქვამს სურვილს, რათა სახალხო განათლების მინისტრმა მიმართოს მოწაფეებს მოწოდებით ამ დღეებში მხურვალი მონაწილეობის მიღების შესახებ. ასეთივე თხოვნით ფრონტის დამხმარე კომიტეტმა მიმართა პროფესიონალურ კავშირებს და ქალაქის სკოლების გამგეობას. ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ ს. მ. ქორქოლიანმა შრომის ბეგარის საკითხის მომწესრიგებელ კომისიაში აღძრა შუამდგომლობა მის განკარგულებაში შრომის ბეგარის სახით გაწვეულთა გადაცემის შესახებ. შუამდგომლობა დასაბუთებულია მით, რომ კომიტეტს ჰკლდება მუშა ხელიო. (ს. დ. ს.

ჩვენი კორესპონდენციები

თეკლათის თემი.

თეკლათის თემი ერთი უდიდესი თემთაგანია სენაკის მაზრაში. აქ ითვლება 1,360 კომლი, არსებობს რამოდენიმე დაბალ პირველ დაწყებითი სასწავლებლები და ,,ნოე ჟორდანიას სახელობაზე'' სამკითხველო, სადაც მკითხველისათვის მარტო სოციალ დემოკრატების გაზეთი არსებობს სხვა კი ზედმეტათ მიიჩნიათ ზოგიერთებს, თუმცა გამგეობაში შევიტანეთ სხვა გაზეთის გამოწერის წინადადება, მაგრამ ძველი გაზეთის ,,დაწვით'' დამემუქრენ, თუ ოდესმე ყოფილა გამოწერილი სხვა გაზეთი გარდა სოციალ დემოკრატებისა.

როგორც მცხოვრებთა რიცხვის რაოდენობით აგრეთვე თავისი შეგნებული მცხოვრებლებით და კულტურული ძალებით პირველ ადგილი უჭირავს აღნიშნულ მაზრის სოფლებთან. არის აგრეთვე რამოდენიმე დუქნები, სადაც დღე და ღამ განუწყვეტელათ ბანქოს თამაშია; სოფელში ქურდ-ბაცაცობა უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. მუშა კაცი მთელს საუკეთესო დროს ბანქოს თამაშში ჰკარგავს. თვით ის ვინც ამას ყურადღებას უნდა აქცევდეს, ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. უარვყოთ ეს უბედური სენი სოფლად. ბანქოს თამაში ერთი მიზეზთაგანია ქურდობის გავრცელებისა სოფლად.

მოსავალი წრეულს გვარიანათ მოვიდა, შეიძლება ხალხი აცდეს შიმშილობას, მაგრამ ცუდმა ამინდებმა შეუშალა ხელი, როგორც სიმინდის, აგრეთვე ჩალის მოგროვებას, რასაც შეიძლება მოყვეს საქონლის შენახვის შეუძლებლობა.

ხსენებული თემი მდიდარია თავის ნიადაგით, მაგრამ თუ ბუნებით და ჯილდოვებულ მხარეს არ მივაქცევთ ყურადღებას, არ შეუწყობთ ხელს დაბალი მხარის ყოველ მხრივ გაფაქიზებას, რით შეუძლია თავისი სამოქმედო ასპარეზის გაფართოვება?! ყველას კარგათ მოეხსენება სამეგრელოს და კერძოთ სენაკის მაზრის ტყეები, რომლისთვის აუცილებელი რამ არის გზა, ურომლისოდ გლეხს არ შეუძლია შეშისა და სხვა საჭირო მასალების გადმოზიდვა. ამ მხრივ თეკლათი წარმოადგენს ,,უძირო ტბას'', ამას კი არავინ აქცევს ყურადღებას.

ა. წ. ზუგდიდში დამფუძნებელი კრების წევრის ბ. თევზაიას წინადადებით სამაზრო ერობამ გამოუშვა ტეხნიკები, რომ გაეთვალისწინებიათ გასაკეთებელი გზები. ტეხნიკები დიდის ამბით შემოვიდნენ, გაზომეს და მით ცოტათ დაამშვიდეს გზებისაგან შევიწროვებული მცხოვრებნი და ამით გათავდა მათი მოღვაწეობა გზის შეკეთების საქმეში.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მშრომელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობას. ადგილობრივმა სათემო და სამაზრო ერობამ უთუოდ უნდა მიიღოს ზომები ამ თემში მიმოსვლის გაუმჯობესების მხრით.

ვალ. დამისპირელი.

ჭიათურა.

შვიდს ამა დეკემბერს, საღამოს შვიდ საათზედ, მოხდა ქალაქ ჭიათურის ხმოსანთა საზოგადო კრება.

სასურველად მიგვაჩნია, ამ კრებაზედ მოსმენილი და გადაწყვეტილი საკითხების გაზეთის ფურცლებზედ გამოტანა, რადგან ეს სხდომა უფრო მიუდგომელი, საინტერესო და საზოგადო იყო, ვინემ წინა მომხდარი სხდომები, სადაც დავესწრებივართ და საკითხი წინასწარვე იმის უმეტესობით დადგენილი რეზოლიუციებით მოგვესმენია და გარეშე პარტიის ხალხი მხოლოდ გაგონებას მოითხოვდა. პირველ ყოვლისა კრებას მოქალაქე ქალაქის მოურავს ბ. თ ს მიერ მოხსენდა გამგეობის ანგარიში წარსული 1919 წლისა, თუ რა აწეწილ-დაწეწილი მიუღია მას ყოფილ ქალაქის გამგეობის მიერ იგი და რა ენერგია დაუხარჯავს ამ უკანასკნელს ქალაქის აღმშენებლობითი საგნებზედ სხვა და სხვა დარგებში, განსაკუთრებით რა ძალა მიუძღვნია მას სწავლა განათლების საქმეში, რომელიც მოხსენებითაც ნათელი გახდა ყველასათვის. ამავე მოხსენებიდან თვალ ცხადად გამოირკვა ფაქტი გასავლის სიმცირე შემოსავალზედ და მის ადგილზედ მომხდარ ბოროტებისათვის ღირსეული პასუხის გაცემა.

გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვითმართველობათა მოქმედება დაწყებულია და რომ ახლა ჭიათურის ქალაქის თვითმართველობის მოქმედებით საზოგადოება დაკმაყოფილდება, ეჭვ არა რადგან მათ მოღვაწეობაში სწორი ნაბიჯია გადადგმული და დაშვებული შეცდომები გამოსწორებული თუ არაა მივაქცევთ ყურადღებას წვრილმანს შეცდომებს, ურომლისოდაც რაიმეს გაკეთება შეუძლებელია.—

ამ მოხსენების არსებითათ განხილვამდე მოისმინეს იქნა სარევიზიო კომისიის ანგარიში იმავე წლისა—აქ ზედმეტად არ მიგვაჩნია შესაძლებლად ვსცნოთ ფაქტი, რომ გამგეობის მოქმედებაში მათ ნაკლი უფრო უნახავთ, რადგან იგივე კომისიის მოხსენება შიგა და შიგ გვიდასტურებდა ,,შეცდომას ვერ ვპოულობთ, მაგრამ ასე; რომ ყოფილიყო, სასურველი იყოო'', ,,თუმცა უმნიშვნელოა, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცესო და სხვა''. მოხსენება კომისიისა ფხიზელი და დამაკმაყოფილებელი იყო. ინებსხვა იმ წვრილმან დეფექტებსა, რაც აქ წარმოითქვა ს ბრძოლა იყო და მახალებიო, რადგან ისეთ მუნიციპალურ დაწესებულებაში როგორიც თვითმართველობაა მსგავს შეცდომებს ექნება ადგილი—მართალია ამ მიხ ს ნებაში კომისია შორის წამოჭრა და ქალაქის თვითმართველობის მოქმედებას, ითრიდიუმოთაც შიხო, რაც მის კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ ჩვენ ვკმაყოფილდებით—რომ ამან გამოიწვია აზრთა შეხლა და ნათელ ჰყო, რომ ყველანი თავის ადგილზედ არიან და დაკისრებულ მოვალეობას მიუდგომლად ასრულებენ. გამოაშკარავდა ისიც, რომ იგინი ძველი წესით ხელმძღვანელობენ კონტროლი არ ყავთ და ერთი კომისია მეორეს კონტროლს უწევს.

ორივე მოხსენება, როგორც გამგეობისა აგრეთვე სარევიზიო კომისიისა კრებამ ერთხმად დაამტკიცა—მართალია ერთმა ხმოსანთაგანმა თავის ორატორულ სიტყვაში, ძველი გაიხსენა, აღიარა რომ ის მტრებისგან ელოდა საყვედურებს, გასაკვირლად არ მიაჩნია აღნიშნული შეცდომები რადგან ჩვენ ყველანი გამოუცდელები ვართო, მაგრამ იმისგან მეტი აღარა შეიძლებოდა და თავდაჭერილმა თავჯდომარემ ბოდიშის მოხდით შეაჩერა.

სხვა საკითხებთა შორის, როგორიც იყვნენ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთათვის ელექტრონის ენერგიის და წყლის უფასოთ დათმობა და აგრეთვე 25 პროცენტის გადახდა პურის რაციონის მიუღებლობის დროს, რომელნიც დაეთმოთ მოსამსახურეებს, გაირჩა ფრიად საყურადღებო საკითხი ცენტრალური ელექტრონის სადგურის გაფართოების შესახებ. ამ საკითხის შესახებ მოხსენება ხმოსანმა ი. ხ-მა გააკეთა. მან ნათლად განმარტა შესაძლებლობა დამდგარი ელექტრო მოტორის ძალის შეწყვეტისა და მით წყლისა და სინათლის მოსპობისა სამუდამოთ, რაც არა ერთხელ დაუდასტურებია შემმოწმებელ ინჟინერების თანდასწრებით. განუმარტა კრებას თუ რა რისხვად მოევლინება ეს ისეთაც შავი-ქვისგან გამტვერულ ჭიათურის საზოგადოებას და მასთან საშვალებაზედაც მიუთითა, თუ რა სახით შეიძლება ამ მძიმე დროს მეორე მოტორის შეძენა, რომ ხან გამოშვებით ამუშავდენ ისინი ქალაქის მცხოვრებთა საკეთილდღეოთ. მოხსენებამ კრებაზედ შთაბეჭდილება მოახდინა. იგი შინაარსიანი აღმოჩნდა არ აკლდა ტეხნიკური მხარეებიც და კრებამ კომისიაში აირჩია მოქალაქენი: ანთელიძე, გრიგორაშვილი და ჰიჭინაძე, რომ იგინი ქალაქის თვით მართველობასთან ერთათ წარადგნენ კომიტეტ ,,ჩემოსთან'' თბილისში, რომ მან უფრო თვისი პირადი ინტერესებისათვის რაიმე საშუალება აღმოაჩინოს ან ფულად ან მარგანეცის გაცვლით, რაზედაც სრული იმედი უნდა დავამყაროთ, რომ თუმცა გვიან მაგრამ საქმე მაინც ჩვენს სასურველად მოგვარდება.

ჩვენსკენ დიდი ყინვებია იგი 12 გრადიუსამდის ამ დროს ასეთი დიდი თოვლი და ყინვა მოსწრებულ პირებს არ ახსოვთ. ბაზარზედ პური კარგა ხანია არღარ არის მჭადი 50 მ. გირვანქა-ხალხი საშინელების წინ დგას.

დამსწრე.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ს. კედია.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის,
ნიკოლოზ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ. სად 6—8 საათ. არის საწოლები. ყოროღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

მეურნეობა და მცხოვრებთა ნამეტნაობა.

1803 წელს ინგლისის გამოჩენილმა ეკონომისტმა—მალტუსმა —გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი ნაწარმოები „ხალხთა მოსახლეობისათვის“.

თხზულების დედა აზრი მეტად მარტივია.

ხალხის გამრავლება წინ უსწრებს საარსო საშუალებათა ზრდას; საარსო საშუალებათა რაოდენობა იზრდება არითმეტიკული პროგრესიით, მაშინ,—როდესაც ხალხის გამრავლება გეომეტრიულით. ამიტომ სიღატაკე, სიღარიბე—ბუნებრივი კანონია, აუცილებელია, და მის წინააღმდეგ მხოლოდ ერთადერთი საშუალება შესაძლებელი: უნდა ხმარებულ იქნეს სხვა და სხვა ხელოვნური ღონისძიება გამრავლების წინააღმდეგ. აი რას ამბობს მალტუსის თეორია.

ინგლისელმა ბიოლოგმა—დარვინმა—ამ იდეის ნიადაგზე ცხოველთა და მცენარეთა სახეების წარმოშობის გენიალური თეორია შექმნა. ცხადია კი, რომ დარვინის კანონი უფრო ფართო სოფლხედვას წარმოადგენს.

დარვინი ამბობს: ცხოველთა და მცენარეთა სახეებს შორის უსასტიკესი ბრძოლაა არსებობისათვის. და ამ ბრძოლაში იმარჯვებენ და მრავლდებიან უკეთ მომარჯვებულნი. ეს არის თანდათანობითი გაუმჯობესების მიზეზი.

იმავე დროს ამ კანონის მიხედვითაც არსებობისათვის ულმობელი ბრძოლის მთავარი მიზეზი—საზრდოს სიმცირეა.

ბიოლოგიურმა მეცნიერებამ დარვინის თეორია გაამართლა, განაკანონა.

აქედან ჩანს, რომ მალტუსის დებულებაში ჭეშმარიტების მარცვალია: საარსო საშუალება ადვილად არ იზრდება.

სხვათა შორის ეს იმ ფაქტითაც მტკიცდება, რომ ევროპაში ასი წლის განმავლობაში

ხორბლეულობის მეურნეობის ნაყოფიერობა გაიზარდა მხოლოდ ორჯერ და ევროპას თავისი საზრდოს ერთი ნაწილი ახალშენებიდან და ამერიკიდან შემოაქვს.

და, ცხადია, კარლ მარქსმა უსამართლოდ უწოდა

მალტუსის ნაწარმოებს „უსირცხვილო პლაგიატი'' და უარყო მისი ყოველივე მეცნიერული ღირებულება.

თავისი მხრით, კარლოს მარქსი ამბობს: კაცთა საზოგადოებაში მოსახლეთა სიჭარბე იშობება სოციალურ და ბუნებრივ პირობათაგანო.

მაგალითად, მანქანა რომელსამე დიდ ქარხანაში ათავისუფლებს მუშათა ერთს ნაწილს და ჰყრის გარედ.

მანქანავე ათავისუფლებს მუშებს მიწისაგან.

მაშასადამე, სამანქანო წარმოება ჰქმნის ხელოვნურად მუშათა სიჭარბეს.

ამას უწოდებს ის შეფარდებითს ზედმეტ მოსახლეობას ანუ მცხოვრებთა შედარებით სიჭარბეს.

მაგრამ მარქსის ანალიზი აქ ბოლომდის არ მიდის. ის არ არკვევს საჭიროვარამო საკითხს: შეუძლია თუ არა წარმოებას ასაზრდოოს მუშათა ნამეტნაობა, რომლის ადგილიც მანქანამ დაიჭირა?

უეჭველია კი: მცხოვრებთა ნამეტნაობას საფუძვლად სხვათა შორის სოციალური მიზეზიც უძევს.

არის საარსო საშუალებათა ერთგვარი მინიმუმი რომლის შემცირებაც აღარ შეიძლება. და ეს მინიმუმი სხვადასხვა ქვეყანაში და სხვა და სხვა ისტორიულ ხანაში სხვადასხვა გვარია.

ჩინელი არ გაექცევა იმ პირობებს, რომელნიც ევროპიელისთვის აუტანელია. მაშასადამე ჩინელებისთვის მცხოვრებთა ნამეტნაობა საარსო საშუალებათა შედარებით ნაკლებ პროცენტულ ნორმას შეეფარდება.

ადამიანის მოთხოვნილება ხან იზრდება, ხან კლებულობს ცხოვრების პირობებისდა გვარად.

მაშასადამე, მცხოვრებთა ნამეტნაობა შეიძლება შემცირდეს მოთხოვნილებათა მოკლებით.

ხალხის ნამეტნაობა, რომელსაც არა ჰყოფნის საარსო საშუალებათა აწინდელი რაოდენობა, აღარ იქნება ნამეტნაობა, არამედ შეიქნება ნორმალური გარეშე პირობებთან კარგად შეფარდებული და მომარჯვებული თუ მოთხოვნილებათა რაოდენობა შემცირდება.

მაგრამ ამას მოჰყვება შედეგად ხალხის სხეულებრივი და სულიერი დაქვეითება, გადაგვარება.

ხალხი გამრავლდება, მაგრამ იმავე დროს დაჩიავდება, გადაგვარდება.

და, თუ კი ხალხი თავის ხორციელსა და სულიერ დაცემას ვერ შეურიგდება, მისი ნამეტნაობა ვერ შეურიგდება თავის მოთხოვნილებათა შემცირებასა და ან გადაესახლება სხვაგან, ან ადგილობრივ შექმნის გაუმჯობესებას ან ახალ წარმოებას.

მაშასადამე, საარსო საშუალებათა შემცირება ქმნის ხელოვნურად მცხოვრებთა ნამეტნაობას, რომლის წინაშე შემდეგი დილემაა: ან ხორციელი და სულიერი დაქვეითება და ან ახალი წარმოების შექმნა ანუ წარმოების გაუმჯობესება.

აქედან ცხადია: რამდენადაც უფრო დაეცემა მეურნეობა და მრეწველობა, იმდენად მეტი იქნება გადაგვარების საფრთხე.

და ამ თვალთახედვით რომ განვიხილოთ სხვა და სხვა სოციალური წყობილება, შემდეგს დავინახავთ.

ბოლშევიკურ-კომუნისტური წყობილება, რომელშიაც შრომა თავისუფალი არ არის, ამცირებს შრომის ნაყოფიერობასა და ადიდებს მაშასადამე მცხოვრებთა შედარებით ნამეტნაობას.

მიწების დაკუწვა მეტის მეტად პატარა ნაჭრებად ამცირებს სამიწისმოქმედო შრომის ნაყოფიერობასა და მიწისმოქმედ მუშაობისა ხალისსა და ინიციატივას ართმევს, მაშასადამე, ქმნის ხელოვნურად მცხოვრებთა ნამეტნაობას.

როდესაც სახელოსნოში მუშებსა და ხელოსნებს 8 საათის მუშაობა არა ჰყოფნისთ საარსო საშუალებათა მოსაპოვებლად 8 საათის მუშაობის დაკანონება ქმნის, მაშასადამე, მუშათა ნამეტნაობას.

როდესაც ნარდად მუშაობა, 8 საათის მუშაობა, დამქირავებლის უფლების უარყოფა და სხ. ამცირებს შრომის ნაყოფიერობას ქარხნებსა და მაღაროებში, აქედან იშობება ხელოვნურად მუშათა ნამეტნაობა.

და როდესაც ნადგურდება სამეურნეო კულტურა ამასაც, რასაკვირველია, იგივე დამღუპველი შედეგი მოსდევს.

იმავე შედეგს შობს ყოველივე, რაც აფერხებს ვაჭრობა-მრეწველობას, ე. ი. პოლიტიკური გართულება, უცხო ბაზართან კავშირის შეწყვეტა, საზღვაო და სახმელეთო გზების არ ქონება, ფინანსიური მოუწყობლობა და საზოგადოდ ეკონომიური და ადმინისტრატიული მოუწესრიგებლობა.

და ამ ეკონომიურ-სოციალური კანონის ზეგავლენას უკვე განიცდის ჩვენი ქვეყანა.

შრომის ნაყოფიერობა იმდენად დაეცა, რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკურად აუცილებელ ბიუროკრატიულ-ადმინისტრატიულ დაწესებულებათა მოხელეები ეკონომიურად ნამეტნავი შეიქნენ.

მოხელეს მისი თვიური ჯამაგირი სამ დღეს არა ყოფნის.

ამგვარსავე მდგომარეობაში არიან სამეცნიერო და სახელოვნო წრეები.

ამის შედეგი კი იქნება მოხელეების ზნეობრივი დაქვეითება და მეცნიერება ხელოვნების დაცემა.

მაშ რაა საჭირო, რომ, არა თუ მოხელე, მეცნიერი და ხელოვანი ნამეტნავი არ შეიქნენ, არამედ საზოგადოდ მცხოვრებთა ნამეტნაობა, რომელთა დღეს საარსო საშუალებათა საკმაო რაოდენობა არ აქვს დაკმაყოფილდეს?!

ამისთვის ისაა საჭირო, რომ საქართველო, რომელიც ცოტას აწარმოებს, ბევრს აწარმოებდეს.

მხოლოდ მაშინ მიჰყვება თან მცხოვრების ნამეტნაობას ქონებრივი სიმდიდრის ზრდა, ე. ი. მხოლოდ მაშინ გამრავლდება ხალხი და არ მოაკლდება მას კულტურული არსობის საშუალება.

იმავე დროს უნდა მოწესრიგდეს მართვა—გამგეობის სისტემა.

მომარაგების სამინისტროს რომ თუთუნზე, მატყლზე და სხვ. მილიარდები არ წაეგო, არ იქნებოდა დღეს მოხელეების ნამეტნაობა.

ეკონომიური პოლიტიკა რომ ანარქიული არ ყოფილიყო, არ იქნებოდა მუშების ნამეტნაობა.

კაი ხანია, რაც გვპირდებიან სარწყავი არხების გაყვანას, მდინარეების ნაპირების გამაგრებას, ჭაობების ამოშრობას და სხვ.. მაგრამ ჯერ არც ერთი ეს დაპირება არ შესრულებულა. და, რასაკვირველია, არც შესრულდება, ვიდრე ეკონომიური პოლიტიკა ძირიანად არ შეიცვლება.

მართალია, გვაქვს საერობო და საქალაქო თვითმართველობანი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული მათი ფინანსიური უფლებანი. მხოლოდ ერთი რამეა უდაო: ადგილობრივ თვითმართველობას აქვს უფლება მიითვისოს სხვისი საკუთრება რეკვიზიციის წესით. მაგრამ ამან ისე შეაშინა მესაკუთრეები, რომ აღარავინ აღარაფერს აღარ აშენებს და, პირიქით, აშენებულს ანგრევენ. და ნედლ მასალად ჰყიდიან.

ამან შექმნა სხვათა შორის მიწის ნაკვეთთა ნამეტნაობა, შეუფერებელი ,,ბინის კანონები'' და სხ.

მეორე მხრით, ჩვენში რომ წესიერი ეკონომიური პოლიტიკა ყოფილიყო და იმდენი პური და სიმინდი მოგვეყვანა, რომ უცხოეთის პური არ დაგვჭირდებოდა ჩვენი სავაჭრო ბალანსი აქტიური შეიქნებოდა, ცხოვრება გაიაფდებოდა და სოციალური და პოლიტიკური კრიზ აგვცილდებოდა.

მატყლის მონოპოლიამ მოსპო შინ ური ხელსაქმარი. როდესაც ქალა მუშაობას თავი დაანება, სოფელმა ხახბლა მივიწყებული ხელსაქმარ მილიანი ხელი ამუშავდა და ართ შალი, ხამსი და სხ. იქნა მოქსოვი გაუმჯობესდა სახელსაქმარო სართ და საქსოვი მანქანები. და ამ სახე ქმარო მოძრაობისაგან დიდი შედე იყო მოსალოდნელი. საზღვარ გარე დან ტანსაცმელის შემოტანა აღარ გვჭირდებოდა და ამით სავაჭრო ბ ნსი გამოსწორდებოდა.

და შრომის პირობები რომ ნორ ლური ყოფილიყო, ე. ი. ისეთი, რ გორც ,,ბურჟუაზიულ'' ევროპა ჭიათურის მაღაროებში მუშაობა გ ლებული იქნებოდა და, მაშასადამე თი მხრით, მოისპობოდა მუშათა ნა ტნაობდა, მეორე მხრით კი გვექნ და საზღვარ-გარეთ გასატანი სავაჭ რო საგანი.

იმავე დროს მოვიზიდავდით ევრო კაპიტალს, მდინარეების მექანიკურ ე რგიას მოსახმარებელ ელექტრონ ენერგიად გადავაქცევდით, ავაშენ დით ფერომანგანეუმის, რკინის სხ. ქარხნებს, გავიყვანდით ახალ რ ნ ს გზებსა და სხ.

მხოლოდ მაშინ გარდაიქმნება მცხოვრებთა ნამეტნაობა მწარმ ძალად, გამრავლდებოდა და კულტ ლად ამაღლდებოდა.

და მხოლოდ ამ პირობით იქნე შესაძლებელი სახელმწიფოებრივ- ვნული ორგანიზმის გამთელება და ზრდა.

დიახ! აწინდელი ეკონომიური ლიტიკა ძირიანად უნდა შეიცვა ეს აუცილებელია საქართველოს პო ტიკური არსობისა და კულტურ ეროვნული წარმატებისათვის.

ვასილ წერეთ

ექიმი
ა. ე. ლევენშტეინი.
იღებს რენტგენისა და ელექტრონით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და აგრეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებით შინაგან ორგანოთა და ჭრილობათა გამოკვლევას. წამლობა დიდი ძალის ტოკით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა 3. ტელ. 12 46.
მიღება 11-12 და 4 7 საათამდე.

თვალების ავადმყოფობის
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3305 თვ.

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება,
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა. ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს; ანასტასიის ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა
№ 3208.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დილის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემმელის აფთიაქთან. ტელეფ. 18—95. 3228

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. ზ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილას ავადმყოფობას ვექიმობ ,,ნეიმანის და ვესსელის'' მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოოტეხნიაზე'' (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2 თვ.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურ ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალ ქსანდროვის ბაღის პირდაპირ. ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი
რეზო მაჩაბელ
კანისა და ვენერიული სნეულებან მლობა ახალი და ძველი სუსუნ სიფილისი (636—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11- ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზ ლის აფთიაქის პირდაპირ. 32

დოქტორი
ბ. ბ. მებრაბიანც
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა გულისა. იღებს რენტგენის ელექტ წამლობის კაბინეთში. გასინჯვ წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების რაცია—პოევმოტორაქსი. ყოველ დილის 9—12 საათამდე და საღ. 6 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტე ფონი 7—92. 331

მატარებელთა მიმოსვლ

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 1 53.
მატარებ. № 3. № 7.
თბილისიდან ფოთში საღამ. 7 ს. 1
მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 1 37
მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილის 3 20
მატარებ. № 140.
თბილისიდან საღოლში დილის 9
მატარებ. № 390.
თბილისიდან სანაინში დილის 7 45 წ.
მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 30

თბილისში მოდის.

მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისისკენ გამოდ საღ. 10 ს. 27
თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46
მატარებელი № 7.
ფოთიდან თბილისისკენ გამოდის მის 12 ს. 2
თბილისში მოდის დილის 2 ს. 13
მატარებელი № 22.
ბათომიდან თბილისისკენ გადის მის 12 ს. 58
მატარებელი № 19.
ხაშურიდან თბილისისკენ მოდის მის 2 ს. 16
თბილისში მოდის დილის 8 ს. 2
მატარებ. № 141.
საღოლოდან თბილისისკენ გა დილის 9 ს 10
თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36
მატარებ. № 416.
სანაინიდან თბილისისკენ გადის ლის 8
თბილისში მოდის დღის 4 ს. 53
მატარებ. № 3.
კახეთიდან თბილისში გადის ს. 2